# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 14 ივლისი 1995 № 41 (179) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი

დინამო – ბოტევი

სამტრედია – ვარდარი

## თასების თასი

ბათუმი – ობილიცი



ჟენევის ოტელ „პილტონში" მერაბ ჟორდანიასთან ორიოდ წუთით ტელეფონით საუბრისას შევიტყვეთ, რომ მას უკვე დაუზუსტებია ყველა დეტალი პლოვდივის „ბოტევის" ხელმძღვანელობასთან 8 აგვისტოს პლოვდივში და 22-ში თბილისში მატჩების თაობაზე. ჟორდანიას თქმით, მისთვის მოულოდნელი ყოფილა „დინამოს" საკვალიფიკაციო ეტაპში ჩართვა, რაკილა ამის თაობაზე უეფას წინასწარ არაფერი უცნობებია. მერაბ ჟორდანია თბილისში 19 ივლისს ჩამოვა და მასთან ინტერვიუსაც შემოგთავაზებთ... ჯერ არაა ცნობილი, სად გამართავს საშინაო მატჩს „სამტრედია". ეს საკითხი გუშინ უნდა გაერკვია „სამტრედიის" პრეზიდენტს ტარიელ ჩაჩუას.

შევიტყვეთ ისიც, რომ სეზონს გიორგი ქინქლაძე ალბათ „მანჩესტერ სიტიში" დაიწყებს. გიორგი ახლა მოსკოვშია. ყველაფერი ორ დღეში გაირკვევა.



## ნემსაძე – «ჰომბურგში», ჯერ მოარჩენენ, მერე ათამაშებენ

როგორც „დინამოს" დირექტორატის წევრებმა, უჩა მალაზონიამ და ლერი სულაბერიძემ გვაცნობეს, გერმანიას წასული გიორგი ნემსაძე მეორე ბუნდესლიგის „ჰომბურგში" ჩარიცხულა. ამავე გუნდში ითამაშებენ რეზო არველაძე და ნიკა ჩხეიძე. ამ სამეულს უკვე უთამაშია ერთი საკონტროლო მატჩი „ნოიენკირხენთან", რომელშიც მელორ ბიგვავა და დიმიტრი პაპავა გამოდიან. უახლოესი ოფიციალური მატჩი „ჰომბურგს", რომელსაც სიმონსენისდროინდელი „ბორუსიას" მეკარე სუდე წვრთნის, პირველ ბუნდესლიგაში ახალგადასულ „ზანქტ პაულისთან" ექნება გერმანიის თასზე. „ჰომბურგს" ქართველების გარდა კიდევ ერთი ბრაზილიელი ჰყავს.

„ჰომბურგის" ექიმებს უთქვამთ, ნემსაძეს ფეხის ერთ-ერთი კუნთი მცირედ ატროფირებული აქვს და ერთკვირიან აღდგენით კურსს საჭიროებსო.



## ძიუდოში კი გავილაღეთ

ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი, სამი ბრინჯაო, ზედაც გუნდური პირველი ადგილი მედლების ოდენობით – გულის გამხარებელი და ძველი დიდების გამხსენებელი შედეგია ნამდვილად. ასე ხელდამშვენებულნი მოემგზავრებიან ინგლისის ქალაქ ბათიდან, ევროპის ახალგაზრდობის III ოლიმპიური დღეებიდან ქართველი ძიუდოისტები. პირველი მედალი რომ ფირუზ ტყემელაშვილის (50 კგ) ვერცხლი იყო, ეს უკვე გაცნობეთ, მერე კი დავით ჯავახიშვილის (55) ოქროს ჯერიც დადგა. ამათ მონაგარს ლევან სულხანიშვილმა (71), ირაკლი სირაძემ (78) და გიორგი გუგავამ (მძიმე) თავის წილად თითო-თითო ბრინჯაოც დაამატეს. ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი აქვს ჩოგბურთელ ირაკლი უშანგიშვილსაც – ირაკლიმ სამი წრე მოიგო, მერე კი დამარცხდა, მაგრამ III ადგილის მოსაპოვებლად იბრძვის.

მერაბ რატიშვილი, ბათიდან

## ერთი – ამერი, ერთიც – იმერი

საკალათბურთო ევროტურნირებში წლეულს ორი ქართული გუნდი ითამაშებს, დანარჩენებს უფულობის გამო მონაწილეობაზე უარი განუცხადებიათ.

ევროპის ვაჟთა საკლუბო ჩემპიონატის პირველ წრეში საქართველოს ჩემპიონი „ვითა" 7 სექტემბერს კაუნასის „ჟალგირისს" მიიღებს, 14 სექტემბერს კი ლიტვაში ითამაშებს.

ქუთაისის „მეობა" ქალთა რონკეტის თასზე მეორე ეტაპიდან ჩაებმება: 27 სექტემბერს თურქეთის „ბოთასს" უმასპინძლებს, 4 ოქტომბერს კი სტუმრად ეწვევა.

## ევროტურნირების შესარჩევი წრის წილისყრა

**უეფას თასი. 8, 22 აგვისტო**

ვარდარი (სკოპლე, მაკედონია) – სამტრედია (საქართველო)
ბოტევი (პლოვდივი, ბულგარეთი) – დინამო (თბილისი, საქართველო)
ერებრუ (შვედეთი) – ავენირი (ბეგენი, ლუქსემბურგი)
ტ.პ.ვ. (ტამპერე, ფინეთი) – ვიკინგი (სტავანგერი, ნორვეგია)
ბანგორ სიტი (უელსი) – ვიძევი (ლოძი, პოლონეთი)
შელბურნი (ირლანდია) – აკრანესი (ისლანდია)
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) – ჰ.ბ. (ტორსჰავენი, ფარერები)
ბრონდბიუ (დანია) – ინკარას-გრიდასი (ლატვია)
ლილესტრიომი (ნორვეგია) – ფლორა (ტალინი, ესტონეთი)
მოზერველი (შოტლანდია) – მიუპა (ფინეთი)
სკონტო (რიგა, ლატვია) – მარიბორი (ბრანიკი, სლოვენია)
შტურმი (გრაცი, ავსტრია) – სლავია (პრაღა, ჩეხეთი)
ჟენესი (ეში, ლუქსემბურგი) – ლუგანო (შვეიცარია)
სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) – ოსიეკი (ხორვატია)
დანდალკი (ირლანდია) – მალმიო (შვედეთი)
კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლანდია) – სილკებორგი (დანია)
ეფენ ლიდო (პორტ ტალბოტი, უელსი) – რ.ა.ფ. (რიგა, ლატვია)
რეის როვერზი (შოტლანდია) – გოტუ (ფარერები)
სლავია (სოფია, ბულგარეთი) – ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)
ზიმბრუ (კიშინოვი, მოლდოვა) – ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი)
სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) – გალათასარაი (სტამბული, თურქეთი)
ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) – შლიემა უონდერერსი (მალტა)
კოშიცე (სლოვაკეთი) – უიპეშტი (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
უნივერსიტატია (კრაიოვა, რუმინეთი) – დინამო (მინსკი, ბელარუსი)
ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) – პარტიზანი (ტირანა, ალბანეთი)
აპოლონი (ათენი, საბერძნეთი) – ოლიმპია (ლიუბლანა, სლოვენია)
ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) – ქსამაქსი (ნოიშატელი, შვეიცარია)
ჰიბერნიანსი (მალტა) – ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა)
ქიაფაზი (განჯა, აზერბაიჯანი) – აუსტრია (ვენა, ავსტრია)
ტირანა (ალბანეთი) – ჰაპოელი (ბეერ შევა, ისრაელი)
ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) – დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი)
ზაგლებე (ლუბინი, პოლონეთი) – შირაქი (ერევანი, სომხეთი)

**თასების თასი. 10, 24 აგვისტო**

ობილიცი (ბულგარეთი, იუგოსლავია) – ბათუმი (საქართველო)
ტილიგული (ტირასპოლი, მოლდოვა) – სიონი (შვეიცარია)
ვაც სამსუნგი (უნგრეთი) – სილექსი (მაკედონია)
ტ.პ.ს. ტურკუ (ფინეთი) – ტეუტა (დურეში, ალბანეთი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) – ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი)
აპოელი (ნიქოზია, კვიპროსი) – ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი)
რექსჰემ იუნაიტედი (უელსი) – პეტროლულე (პლოეშტი, რუმინეთი)
ვალეტა (მალტა) – ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
შახტიორი (დონეცკი, უკრაინა) – ლინფილდი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია)
ჟალგირისი (ვილნიუსი, ლიტვა) – მურა (მურსკა სობოტა, სლოვენია)
გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) – არარატი (ერევანი, სომხეთი)
ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) – დერი სიტი (ირლანდია)
მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) – კ.ი. (კლავსვიკი, ფარერები)
დინამო-93 (მინსკი, ბელარუსი) – მოლდე (ნორვეგია)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) – რეიკიავიკი (ისლანდია)
დ.ა.გ. (ლეიპაია, ლატვია) – ლანტანა (ესტონეთი)

**ჩემპიონთა თასი. 9, 23 აგვისტო**

გრასჰოპერსი (ციურიხი, შვეიცარია) – მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
რეინჯერსი (გლაზგო, შოტლანდია) – ანორთოსისი (ფამაგუსტა, კვიპროსი)
ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) – გიოტებორგი (შვედეთი)
კაზინო (ზალცბურგი, ავსტრია) – სტიუა (ბუქარესტი, რუმინეთი)
დინამო (კიევი, უკრაინა) – ოლბორგი (დანია)
რუსენბორგი (ნორვეგია) – ბეშიქთაში (სტამბული, თურქეთი)
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) – ფერენცვაროში, ბუდაპეშტი, უნგრეთი)
პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) – ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)



# ბოტევი (პლოვდივი, ბულგარეთი)

ბულგარეთის ერთ-ერთი უძველესი კლუბი 1912 წელს დაარსდა. 1967 წელს გაერთიანდა პლოვდივის სამი გუნდი — „ბოტევი", „სპარტაკი", „აკადემიკი" და მას „თრაკია" ეწოდა. ამ სახელით გუნდი 1989 წლამდე ასპარეზობდა. შემდეგ კი ისევ ძველი სახელი „ბოტევი" დაიბრუნა. სხვა კლუბებთან გაერთიანება და სახელების ხშირი ცვლა ამ გუნდისთვის უცხო არც მანამდე ყოფილა: 1944 წელს მას „შინკა" შეუამხანაგდა, 1947 წელს — „სტეფან კირაჯიევი", ხოლო 1949-1956 წლებში **ДНВ, ДНА** და **СКНА** — სახელით გამოდიოდა. ბულგარეთის სამგზის (1929, 1967, 1985) ჩემპიონი და თასის ორგზის (1962, 1981) მფლობელია. გარდა ამისა, ორჯერ (1963, 1986) იყო მეორე და 8-ჯერ (1955, 1961, 1981, 1983, 1987, 1988, 1993, 1995) მესამე პრიზიორი, 5-ჯერ გავიდა ქვეყნის თასის ფინალში (1947; 1956, 1963, 1964, 1995). 1972 წელს ბალკანეთის ქვეყნების საკლუბო თასიც მოიგო.

კლუბის ტრადიციული ფორმა ყვითელი მაისურები და შავი ტრუსებია. თამაშობს „ხრისტო ბოტევის" სახელობის სტადიონზე (40 000), ზოგიერთ მატჩს კი ქალაქის „ცხრა სექტემბრის" (36 000) სტადიონზეც ატარებს.

სხვადასხვა დროს გუნდის ღირსება დაუცავთ ცნობილ ფეხბურთელებს გიორგი ასპარუხოვს (თამაშობდა 1961-63 წლებში), დინკო დერმენჯიევს — 1974 წლის ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელს, კლუბის რეკორდსმენს ჩატარებული მატჩების (447) და გატანილი გოლების (194) ოდენობით, ვიდენ აპოსტოლოვს (1962-1977) — ქვეყნის 1971 წლის საუკეთესო ფეხბურთელს, გეორგი სლავკოვს (1977-80, 1981-882) — 1981 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელს, კოსტადინ კოსტადინოვს — 1986 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს.

ბულგარეთის ჩემპიონის ტიტული 1985 წელს კლუბმა შემთხვევით დაისაკუთრა — ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მხოლოდ მესამე ადგილზე იყო, მას სოფიის გუნდები ცსკა და ლევსკი უსწრებდნენ. სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ თასის გათამაშების ფინალში, რომელიც სკანდალურად დამთავრდა. სოფიის გუნდებს ჩამოერთვათ პირველი-მეორე ადგილები და პლოვდიელებს ბრინჯაო ოქროდ ექცათ.

ევროპის საკლუბო ტურნირებში „ბოტევი" მეთოთხმეტედ გამოვა. წინა 13 გათამაშებაში (2-ჯერ ჩემპიონთა თასზე, 3-ჯერ თასების თასზე, 8-ჯერ უეფას თასზე) მათ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს მეოთხედფინალში გასვლა (1962-63 თ.თ), მხოლოდ ორჯერ ითამაშეს მეორე ეტაპზე, 10-ჯერ კი საწყის ეტაპზე გამოეთიშნენ ასპარეზობას. ამ ტურნირებში გუნდის საუკეთესო ბომბარდირია ბულგარეთის ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი გიორგი ასპარუხოვი, რომელმაც სწორედ იმ ერთ, პლოვდიდელთათვის წარმატებულ გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლიც გაიტანა 4-4 გოლი გაიტანეს გ. პოპოვმა, პაშევმა, გეორგიევმა, ბაკალოვმა.

„ბოტევი" საკმაოდ სტაბილური გუნდია და თუ ყოველ წელს ჩემპიონობისათვის არ იბრძვის, საპრიზო ადგილების ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. ამას ადასტურებს ბოლო ხუთ წელიწადში მიღწეული შედეგებიც: 1991 წელს — მე-5 ადგილი, 1992 — 4, 1993 — 3, 1994 — 3. ბოლო ჩემპიონატში გუნდმა 30 თამაშიდან 18 მოიგო, 6 ფრედ დაამთავრა და 6 წააგო, ბურთების სხვაობა 66-31, მოაგროვა 60 ქულა. პირველ ორ პრიზიორს პლოვდიველები საკმაოდ ჩამორჩნენ — შესაბამისად, 19 და 8 ქულით, თუმცა მეოთხე ადგილზე გასულს თვითონაც 7 ქულით გაუსწრეს. ამავე დროს „ბოტევი" ქვეყნის თასის ფინალშიც გავიდა, აქ კი ჩემპიონატის მეორე პრიზიორთან, სოფიის „ლოკომოტივთან" 2:4 დამარცხდა. შედეგიანობით ბოტეველები მხოლოდ ჩემპიონ „ლევსკი — სპარტაკს" ჩამორჩნენ, გაშვებული ბურთებით კი ისევ პირველ ორ გუნდს.

პლოვდივი დიდი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქია, ამჟამად აქაური სამი გუნდი გამოდის ბულგარეთის უძლიერეს ლიგაში — „ბოტევი", „სპარტაკი" (მე-6 ადგილი ბოლო ჩემპიონატში) და „ლოკომოტივი" (7). „სპარტაკი" ახლა ინტერტოტოს გათამაშებაში ასპარეზობს. 1963 წელს სწორედ პლოვდიველებმა დაიკავეს ქვეყნის ჩემპიონატში პირველი-მეორე ადგილი („სპარტაკი" — ჩემპიონი, „ბოტევი" — ვიცე-ჩემპიონი),

„ბოტევს" ბულგარეთის ახლანდელ ნაკრებში ერთი წარმომადგენელი, მეკარე დიმიტარ პოპოვი ჰყავს. მან, გეხსომებათ, საქართველოს ნაკრებთან სოფიის მატჩშიც მიიღო მონაწილეობა და მშრალად შეინახა კარი. რამდენად მოახერხებს იგი ამას თბილისისი „დინამოსთან", აგვისტოს მატჩებში გამოჩნდება.

რევაზ შენგელია

## „ბოტევი" ევროპულ ტურნირებში

### ჩემპიონთა თასი

1967-68

თრაკია — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:0 (დერმენჯიევი, პოპოვი), 0:3

1985-86

თრაკია — გეტებორგი (შვედეთი) 2:3 (სიმოვი, კოსტადინოვი), 1:2 (გოსპოდინოვი)

### თასების თასი

1962-63

ბოტევი — სტიაუა (რუმინეთი) 2:3 (ასპარუხოვი-2), 5:1 (ასპარუხოვი 3, აპოსტოლოვი, დერმენჯიევი).

ბოტევი — შემროკ როვერსი (ირლანდია) 4:0 (პოპოვი 2, ასპარუხოვი, პეშევი), 1:0 (პეშევი)

ბოტევი — ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) 1:1 (პეშევი), 0:4

1981-82

თრაკია — ბარსელონა (ესპანეთი) 1:4 (სლავკოვი), 1:0 (სლავკოვი)

1984-85

თრაკია — უნიონი (ლუქსემბურგი) 4:0 (პაშევი, სტოინოვი, გეორგიევი, კოსტადინოვი), 1:1 (სტოინოვი)

თრაკია — ბაიერნი (გერმანია) 1:4 (გეორგიევი), 2:0 (პაშევი, კოსტადინოვი)

### უეფას თასი

1968-69

თრაკია — რეალი (სარაგოსა, ესპანეთი) 3:1 (გლუხჩევი, დერმენჯიევი, პოპოვი), 0:2

1970-71

თრაკია — ქოვენთრი (ინგლისი) 1:4 (რადკოვი), 0:2

1978-79

თრაკია — ჰერტა (გერმანია) 0:0, 1:2 (არგიროვი)

1986-87

თრაკია — ჰიბერნიანსი (მალტა) 2:0 (ბაკალოვი 2), 8:0 (პეხლევანოვი 2, ბაჩევი, კურდოვი, გეორგიევი, ბაკალოვი, სიმოვი, მლადენოვი).

თრაკია — ჰაიდუკი (სპლიტი, იუგოსლავია) 1:3 (სიმოვი), 2:2 (მლადენოვი, პაშევი)

1987-88

თრაკია — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:3, 2:2 (პაშევი, გიორგიევი)

1988-89

თრაკია — დინამო (მინსკი, სსრკ) 1:2 (ზაიცევი), 0:0

1992-93

ბოტევი — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 1:3 (დერმენჯიევი), 2:2 (ისკრენოვი, პეტროვი)

1993-94

ბოტევი — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2:3 (ბაკალოვი, ხვიონევი), 1:5 (დიმიტროვი)

# ვარდარი (სკოპლე, მაკედონია)

„ვარდარი" დაარსდა 1947 წელს. 1987 წლის იუგოსლავიის ჩემპიონი და 1961 წლის თასის მფლობელი. მაკედონიის 1995 წლის ჩემპიონი. თამაშობს ქალაქის სტადიონზე (28 200).

ევროპულ ტურნირებში სამჯერ ითამაშა (თითოჯერ სამივე ტურნირში) ორჯერ პირველ ეტაპზე დამარცხდა, ერთხელ — მეორეზე. ჩაატარა 8 მატჩი: 2 მოგება, 1 ფრე, 5 წაგება, ბურთების სხვაობა 5-16. იუგოსლავიის ჩემპიონობა 1987 წელს საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში მოიპოვა — შეჯიბრების მსვლელობაში რამდენიმე გუნდს 6-6 ქულა დააკლეს. უცნაური იყო ძალით გაჩემპიონებული გუნდის შედეგიც — 34 მატჩში 15 მოგება, 8 ფრე, 11 წაგება, ბურთების სხვაობა 40-39. სამაგიეროდ, „ვარდარმა" შთამბეჭდავად მოიგო მაკედონიის ბოლო ჩემპიონატი — 22 მატჩი: 18 მოგება 4 ფრე, არცერთი, წაგება, ბურთების სხვაობა 61-12. „ვარდარი" მაკედონიის ნაკრების საბაზო გუნდია. ნაკრების წევრები არიან — მეკარე პეტარ მილოშევიჩი (6.12.73), მცველები: ზორან იოვანოვსკი (21.08.72), კირე გროზდანოვი (18.12.70), სვეტოზარ სტანკოვსკი (28.06.68), ნახევარმცველი — ზარკო სერაფიმოვსკი (03.02.71), თავდამსხმელი — გორან პეტრევსკი (23.05.72)

# ობილიჩი (იუგოსლავია)

თამაშობს იუგოსლავიის „ბ" დივიზიონში, სადაც მეხუთე ადგილზე გავიდა. 18 მატჩი: 7 მოგება, 3 ფრე, 8 წაგება, ბურთების სხვაობა 25-27. თასების თასზე გამოსვლის უფლება მოიპოვა იუგოსლავიის თასის ფინალში გასვლით, რომელშიც ქვეყნის ჩემპიონ „ცრვენა ზვეზდასთან" დამარცხდა 0:4, 0:0. ევროპული ტურნირების დებიუტანტია.

# «სარბიელის» რეიტინგი

სპორტის ალარცთუ ცოტა სახეობაში ურეიტინგოდ ლამისაა ნაბიჯიც ველარ გადაიდგას. გნებავთ, ჩოგბურთი გავიხსენოთ, გნებავთ, ჭადრაკი. რეიტინგი, საკლუბოც და საქვეყნოც, ფეხბურთშიც ერთობ მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფაქტორი გახდა. შორს რა გვინდა, ჩვენი ყოფა გავიხსენოთ — ბოლო ხანს ხომ სულ იმის რკვევა-ანგარიშში ვიყავით, რას და როგორ დაგვითვლიდა უეფა და ევროთასებზე რამდენი გუნდის გაყვანის უფლებას გვიბოძებდა.

დღეს გთავაზობთ „სარბიელის" რეიტინგს, რომელიც კახა ბობოხიძემ შეადგინა. ეს რეიტინგი ითვალისწინებს მხოლოდ ევროთასებზე გამართულ მატჩებს მოყოლებული 1955 წლიდან და, საჭადრაკო ან საჩოგბურთო რეიტინგებისა არ იყოს, ყოველი ჩატარებული შეხვედრის შემდეგ იცვლება. ასე რომ, „ძველ დამსახურება-ნამსახურობის" გათვალისწინებასთან ერთად იგი ერთობ დინამიურიცაა და საკმაოდ რეალურად ასახავს დღევნდელ სურათს.

პირველი ცხრილის პირველ სვეტში მითითებულია ცვლილება რეიტინგში სეზონის დაწყებასთან შედარებით, მეორე სვეტში კი გუნდის სადღეისო რეიტინგი.

მეორე და მესამე ცხრილებში შეტანილია ის გუნდები, რომელთაც წლევანდელ სეზონში ყველაზე მეტად შეეცვალათ რეიტინგი — ან დანიის „ოდენსესავით" გაუუმჯობესდათ, ანაც ტალინის „ნორმასავით" გაუუარესდათ.

მეოთხე ცხრილში მოცემულია იმ ქვეყნების საშუალო რეიტინგი, რომელთაც სამზე მეტი გუნდი გაუყვანიათ ევროთასებზე.

### ცხრილი 1

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | +133 | 2066 |
| 2 | მილანი | -101 | 2019 |
| 3 | მარსელი | -72 | 2000 |
| 4 | პარმა | +126 | 1989 |
| 5 | ლევერკუზენი | +48 | 1956 |
| 6 | იუვენტუსი | +34 | 1948 |
| 7 | პსჟ | +22 | 1908 |
| 8 | ინტერი | -19 | 1894 |
| 9 | ბარსელონა | -87 | 1889 |
| 10 | არსენალი | -35 | 1880 |
| 11 | სარაგოსა | +35 | 1877 |
| 12 | პორტუ | -29 | 1866 |
| 13 | ბენფიკა | -35 | 1862 |
| 14 | კაიზერსლაუტერნი | -8 | 1856 |
| 15 | ნიუკასლი | +64 | 1854 |
| 16 | ჩელსი | -170 | 1853 |
| 17 | სამპდორია | -20 | 1852 |
| 18 | აინტრახტი | -6 | 1849 |
| 19 | გიოტებორგი | +47 | 1847 |
| 20 | ოსერი | -54 | 1838 |
| 21 | დორტმუნდი | +56 | 1835 |
| 22 | რეალ-მადრიდი | -69 | 1824 |
| 23 | კაზინო | +87 | 1820 |
| 24 | პანათინაიკოსი | -14 | 1818 |
| 25 | ბრონდბიუ | +14 | 1805 |

### ცხრილი 2

| | |
|---|---|
| ოდენსე (დანია) | +249 |
| ანორთოსისი (კვიპროსი) | +240 |
| ბოდო გლიმტი (ნორვეგია) | +220 |
| ნიუპა-47 (ფინეთი) | +200 |
| სტიაუა | +168 |
| აუსტრია (ვენა) | +159 |
| ჟალგირისი (ლიტვა) | +154 |
| ნანტი | +142 |
| აიაქსი | +133 |
| პარმა | +126 |
| კანი | +124 |
| ადმირა (ავსტრია) | +112 |
| გტ (ფარერები) | +110 |
| ვიქტორია (ჩეხეთი) | +105 |
| პიბერნიანი (მალტა) | +100 |
| აეკი (საბერძნეთი) | +100 |
| ბრანიკი (სლოვენია) | +100 |

### ცხრილი 3

| | |
|---|---|
| ნორმა (ესტონეთი) | -190 |
| ჩელსი | -170 |
| ბერი თაუნი (უელსი) | -159 |
| შუმენი (ბულგარეთი) | -157 |
| ინტერი (უელსი) | -147 |
| ოლიმპია (ლატვია) | -142 |
| დინამო (მინსკი) | -135 |
| ლინფილდი | -131 |
| ანტვერპენი | -127 |
| თურანი (აზერბაიჯანი) | -124 |
| ინტერი (სლოვაკეთი) | -118 |
| შემროკ როვერსი (ირლანდია) | -114 |
| ლეგია (პოლონეთი) | -111 |
| ბლექბერნი | -10[illegible] |
| მილანი | -1[illegible] |

### ცხრილი 4

| | | |
|---|---|---|
| იტალია | 1883 | (7 გუნდი) |
| გერმანია | 1832 | (6) |
| საფრანგეთი | 1821 | (6) |
| ინგლისი | 1813 | (6) |
| ესპანეთი | 1810 | (5) |
| საბერძნეთი | 1751 | (4) |
| პოლანდია | 1748 | (5) |
| პორტუგალია | 1748 | (5) |
| ავსტრია | 1729 | (4) |
| შვედეთი | 1647 | (4) |


## ტურისტული ფირმა „იმედი 92"

გთავაზობთ ორკვირიან საგზურს ბულგარეთში დასვენებით შე-
ღავათიან ფასებში: „ოქროს ქვიშები"

გასვლა 28 ივლისს. საბუთების მიღება სასწრაფოა. ჩვენი მი-
სამართია: ა. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) №42 ტელ: 39-4[illegible]-84, 39-24-32, 30-49-49, 39-07-08

# კიდევ გავზრდი დარასელიას

...1967 წლის ზაფხული იყო. ოჩამჩირეში თბილისიდან სტუდენტები ჩამოვიდნენ, მე ვარჯიში მქონდა, მთხოვეს ფეხბურთი ვითამაშოთო. ერთი კაცი გვაკლდა. უცებ მინდვრის შორიახლო მუგუზალივით გარუჯული ათი-თერთმეტი წლის ბიჭს მოვკარი თვალი. სტუმრებს ხომ არ ვაკადრებდი — ჩემს გუნდს დავუმატე. იმ დაძარღვულმა ლაწირაკმა ისე ითამაშა, მეც გამაოგნა და სტუმრებიც. რა გქვია-მეთქი, ვკითხე. ვიტალი ვარ, დარასელიაო. მაშინ ყველას ეუსებიოს სახელი ეკერა პირზე და რაკილა „ფერიც" ხელს უწყობდა „ეუსებიო" დავარქვი, სექტემბრიდან ჩემთან მოხვალ და ვარჯიშს დაგაწყებინებ-მეთქი. გადაირია სიხარულით, მინდორზე ათენ-ალამებდა. ზღვისპირას ცხოვრობდა, მამამისი ინვალიდი იყო, ოჯახში უჭირდათ, ეს კი არაფერს დაგიდევდათ, ბურთი და მოედანი იყო მისთვის ყველაფერი. მეცხრე კლასში იყო, „დინამო" რომ შეკრებაზე ჩამოვიდა, ვეთამაშეთ. სერგო კუტივაძემ გვერდზე გამიხმო და მისი ბედიც იმ დღიდან „დინამოს" დაუკავშირდა...

...მე თუ მკითხავთ, ბონდო კაკუბავას მარტო იმისთვის ეკუთვნის მაღალი საწვრთნელო ტიტული, ვიტალი დარასელია რომ აღმოგვიჩინა, ის ფეხბურთელი, რომელმაც ამ „აღმოჩენიდან" 14 წლის მერე ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჯერჯერობით უდიდესი გოლი გაიტანა.

...დილმის ბაზიდან მუდამ დღე წერილებს მიგზავნიდა. ყველა მისი წერილი და სურათი შენახული მქონდა. ჩემმა მეუღლემ ფოტოები, გაზეთიდან და სხვა ყველაფერი, რაც ვიტალი დარასელიას ეხებოდა, ერთ ალბომში ჩააკრა. ეს ალბომი ჩემს სახლში დამრჩა, ოჩამჩირეში, ახლაახან გავიგე, ვიტალის დას ვიღაც აფხაზის ხელით გამოუტანია და ახლა მოსკოვში ინახავსო. მე კი ეს ერთადერთი სურათი დამრჩა მოსაგონებლად...

იმ დღეს სახლში ვიყავი, დარასელიას ნათესავებმა დამირეკეს, ვიტალი არ ჩანს, თქვენთან ხომ არ არისო. დედასთან უნდა ჩასულიყო თბილისიდან ოჩამჩირეში და მერე თავისი ძმა უნდა მოენახულებინა წულუკიძის ზონაში. იმწამსვე ვიაზრე, რაღაც ხიფათი შემთხვეოდა. ერთი ავტობუსით წავედით ზესტაფონის რაიონში, თორმეტი დღე ვეძებდით. იმ თორმეტ დღეში მთელი ზესტაფონი და ყველა იქაური სიგიჟემდე შემიყვარდა: მთელი რაიონი დიღმიდან პატარიანად ყინულივით წყალში იდგა დღე და ღამე, ჩამოდიოდნენ სხვა რაიონებიდანაც. რიკოთზე ტევა აღარ იყო. ბოლოს, მეცამეტე დღეს, ყველა იმედი რომ გადაგვეწურა, ვიტალის დედის ბიძამ, აფშაზმა კაცმა, ავარიის ადგილიდან ორი კილომეტრის მოშორებით ყვავების გუნდი შენიშნა. ახლოს რომ მივიდა, ვიტალის ხელი დაინახა, მანქანიდან გადმოყოფილი. ავარიისას საფეთქელი დაურტყამს და, ასე მგონია, გონმოუსვლელად დაიხრჩო. ბიძამისმა გამოიყვანა მანქანიდანაც და მდინარეზეც, ხალხმა ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა და ასე ხელიდან ხელში გადადიოდა ვიტალი დარასელიას ცხედარი...

როგორც გავიგე, აფხაზები მის საფლავს არას ერჩიან, არც დედამისისთვის დაუშავებიათ რამე.

**— მისი ვაჟი, ვიტალი ხშირად მინახავს მინი-ფეხბურთზე, ბოლო ხანს კი არსად შემხვედრია. იცით მისი ასავალ-დასავალი?**

— ბათუმის „დინამოში" წავიდა. ვარჯიშებზე დიდ დატვირთვებს შეუჩვეველი იყო და ახლა ადაპტაციის პერიოდი აქვს. ვიტალისებრ ძარღვიანი და ტექნიკურია, ჩინებულად აზროვნებს.. ეგაა, მის ასაკში მამამისი დიდ დატვირთვებს უკვე შეჩვეული იყო და ისე გრძნობდა თავს ვარჯიშზე, როგორც თევზი წყალში. 17 წლის ვიტალიმ ჩინებულად იცის, რომ არა აქვს უფლება, ფეხბურთი არ ითამაშოს, დიდი ფეხბურთი...

ვიტალის აღმოჩენა და „ამირანის" დაარსება თითქმის ერთდროულად მოხდა 1967 წელს. გამიგია, ინგლისში ამბობენ „მაჩვენე შენი ნახევარდაცვა და გეტყვი, როგორი გუნდი გყავსო". ქართველებმა ეს გამოთქმა გადააკეთეს: „მითხარი, ვინაა შენი რაიკომის მდივანი და გეტყვი, როგორი გუნდი გყავსო". მართალიც იყო: რაიონის პირველ კაცზე იყო ყველაფერი დამოკიდებული. ოჩამჩირის იმდროინდელი მდივანი გვარამია კი ფეხბურთის ტრანსლაციის დროს ტელევიზორს თიშავდა. მეც ავდექი და სპორტკომიტეტის თავმჯდომარესთან, ძველ ფეხბურთელთან გივი ფალავასთან შევედი, ჩემი მწვრთნელის, ამირან ტყებუჩავას პატივსაცემად გუნდს „ამირანი" მინდა დავარქვა-მეთქი. იმწამსვე დამყაბულდა. 22 წლისა ვიყავი მაშინ ნელ-ნელა ბავშვები წამოიზარდნენ. 1971 წელს ადლეიბას დახმარებით საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში დაგვიშვეს, მეორე ადგილი დავიკავეთ, მომავალ წელს კი ყველას ვაჯობეთ და პირველ


ბონდო კაკუბავას ვიტალის ეს ერთადერთი, 1978 წელს გადაღებული ფოტო შემორჩა

ჯგუფში გადავედით. მუდმივად ხუთეულში ვხვდებოდით. 1989 წელს, მესამეზე გავედით, მომდევნო წელს კი ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო...

**— პირველივე ჩემპიონატში „ამირანი" გავარდა, მაგრამ ფედერაციამ გუნდების რიცხვი ოცამდე გაზარდა და უმაღლეს ჯგუფში ადგილიც შეინარჩუნეთ...**

— ფედერაციის თანამშრომელი ზურაბ პეტრიაშვილი კატეგორიულად წინააღმდეგი იყო გუნდების რაოდენობის გაზრდისა. არადა, ზურას ჭაბუკობიდან ვიცნობდი, ნიჭიერ მოთამაშედაც მიმაჩნდა, რომ არა ტრავმა, შესაძლოა, დიდი ოსტატიც დამდგარიყო. ჰოდა, პეტრიაშვილი ფაქტიურად, მე დამიპირისპირდა.

ახლა ასე ვფიქრობ: მართალი იყო ის კაცი, მაშინ რომ არ დაგვერღვია დებულება, ბევრი მანკიერება აღარ მოხდებოდა ქართულ ფეხბურთში. გასავარდნი უნდა გავარდეს...

**— ოჩამჩირეში გატარებულ ბოლო დღეებს როგორ გაიხსენებთ?**

— რაც მოხდა, სიზმრადაც ვერ წარმოვიდგენდი. წინა დღეებში ზუგდიდში ვიყავი და იმედიანად დავბრუნდი, მეგონა ერთად დავდგებით ქართველები-მეთქი. მაგრამ გაგიგონია?! ყველაზე კრიტიკულ მომენტში ერთმანეთის კვლა დავიწყეთ. 29 სექტემბრამდე ფეხი არ მოგვიცვლია „ამირანის" წარმომადგენლებს. დილას კი აფხაზები ქალაქში შემოიჭრნენ. სახლის გასაღები მაგიდაზე დავდე, ფანჯარაც კი გავაღე და კარი ისე გამოვიჯახუნე...

**— თბილისში კი კარგად მახსოვს ყოველდღე ფეხბურთის ფედერაციის შენობაში იყავით. იქ კი გენერალური მდივნის გარდა თქვენი მომავალი სამსახურით არავინ დაინტერესებულა. ბატონ დავით კვინიკაძეს ახლოს ვიცნობ და ვიცი, რომ სხვანაირად მოქცევა არც შეეძლო. ნუთუ მარტო მისთვის არსებობდა კაკუბავა ოჩამჩირეში?**

— დავით კვინიკაძის მართლა დიდი მადლობელი ვარ: მაშინ ჩემთვის მისი ყურადღება უფრო ფასეული იყო, ვიდრე სამსახური. სხვებს კი ვერ გავამტყუნებ, თანაც ყველას ეგონა, რომ რამდენიმე დღეში ისევ უკან დავბრუნდებოდით და ალბათ ამისი ბრალი იყო.

მერე და მერე, როცა გვარიანად შევრჩი თბილისს, მურთაზ ხურცილავამ და „შევარდენმა" შემიკედლეს. ამ ხალხს თავად უჭირდა, მაგრამ მოყვასისათვის თბილი სიტყვა და ორი კაპიკი მაინც მოიძიეს.

**— ახლა „ავაზას" უდგეხართ სათავეში...**

— „ავაზაში" კლუბის პრეზიდენტმა მიხეილ ჯარმელაშვილმა მიმიწვია. გუნდს ცეკავშირის ხელმძღვანელი ნუგზარ ქლენტი მფარველობდა. „ავაზა" მეორე ჯგუფშიც გამოდიოდა და საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზეც 1977-78 წლებში დაბადებულთა შორის. ამ ახალგაზრდებმა ძალზე დიდი გამოცდილება შეიძინეს და ბოლოს ბარე ბევრი გუნდი ვერ სჯობდა ჯგუფში. ახალციხის „მესხეთს" ქულა ავართვით, ამან კი ახალციხელებს პირველი ჯგუფის საგზური დააკარგვინა. არადა, „მესხეთში" ძირითადად აფხაზეთის რეგიონის ფეხბურთელები თამაშობდნენ, მათ შორის ჩემი აღზრდილებიც. იმათზე უფრო მე დამწყდა გული, მაგრამ რა მექნა, ამ თამაშზე ანთებული ბიჭებისათვის ის მეთქვა თამაში მიეცით-მეთქი?! ბოლოს მართლა ძალზე საინტერესო კოლექტივი შეიკრა. ამაში კი ვეტერან ხვიჩა ქასრაშვილის მოსვლამაც ითამაშა დიდი როლი. იგი ამ ახალგაზრდათა ენერგიის შემდულაბებელი გახდა და ბოლოს ისეთ კონდიციამდე მივიდა, არა მგონია, პირველი ჯგუფის რომელიმე გუნდში მასზე უკეთესი ლიბერო იყოს.

**— ამ ახალგაზრდებიდან ვის გამოჰყოფდით?**

— ყველანი კარგი ბიჭები არიან, მათი მომავალი მათ სიყოჩაღესა და სიბეჯითეზეა დამოკიდებული. მეკარე ჩაჩიბაია, მცველები ჭანკოტაძე, ლომსაძე, კვიციანი, შუა ხაზის მოთამაშეები მესხი, მეტრეველი, ყიფიანი, ქუთათელაძე, ჩიტაური, არაჩვეულებრივი მონაცემების მქონე თავდამსხმელი კახა ნოდარიძე — სიჩქარე, ტექნიკა — ყველაფერი აქვს, ნაღდი რომარიოა, ეგ არის, ცოტა არასერიოზულია და თუ არ მოჭკვიანდა, წყალში გადაყრის ყოველივეს...

**— მიხეილ მესხზე გავიგე, ქუთაისში მიდისო.**

— სწორსაც იზამს. მესხი უნიჭიერესი ბიჭია, მაგრამ საკმარისია ცოტა ხნით სკამზე დაჯდეს, რომ, როგორც ფეხბურთელი — მოკვდება. „დინამოს" შემადგენლობიდან ახლა ვინ უნდა ამოაგდოს ამ ჩვიდმეტი წლის ბიჭმა? სათადარიგოში თუ მოხვდება. „ტორპედოში" კი ბურკაძე გიგა ნორაკიძის გზით მიდის — ახალგაზრდული გუნდის შექმნას აპირებს. მესხი ასეთ პირობებში სრულად გაიხსნება და თუ ასეც მოხდა, რა დაუდგება წინ მის „დინამოში" მოწვევას?

რამდენიმე დღეა, რაც წამოვედი „ავაზადან", ბიჭებმა სკოლა დაამთავრეს, გუნდებში მიდიან. ეს გუნდი რომ შემრჩენოდა, ფეხს არ მოვიცვლიდი.

**— ნუთუ, ბონდო კაკუბავა ისევ უფეხბურთოდ რჩება?**

— „ვაკე 91"-ის დირექტორის კოტე დოლიძის მიწვევით ამ სკოლაში 1984 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდთან ვმუშაობ. დოლიძეს მეტად საინტერესო ჩანაფიქრი აქვს, ქართულ ფეხბურთში ჯერ რომ არავის უცდია. პიროვნულადაც გამრჯე კაცია, ფეხბურთზე გადაყოლილი, ამიტომაც ვუდგევარ გვერდით...

**— რამდენიმე დღის წინ რეზო ჩელებაძემ მითხრა, ბონდო კაკუბავა და მისი ვაჟები, დემური და ნიკა ისევ ქობულეთის „შუქურაში" მიმყავსო...**

— რეზოსგან წინადადება მართლაც მივიღე, მაგრამ ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია. ჩემი უფროსი ვაჟი — დემური ზესტაფონის „მარგვეთმა" წაიყვანა, ნიკა კი მოსკოვში იყო და მინი-ფეხბურთს თამაშობდა. ახლახან დაცოლშვილდა. ჩელებაძე იმიტომაც ეპატიჟება ჩემს ვაჟებს, რომ ახსოვს — როცა უფულობის გამო „შუქურა" ყველამ მიატოვა, ნიკა და დემური დარჩნენ გუნდში.

**— სხვა ოჩამჩირელები სად თამაშობენ?**

— ძალამიძე და აზვლედიანი ზუგდიდში არიან, ქიქავა — ჭიათურაში, შალამბერიძე — სენაკში, როსტობაია — ახალციხეში, გაბისონია ფოთში გადასულა, ჯოჯუამ რუსეთს მიაშურა, თოლორდავა „შევარდენში" იყო, გავიგე წამოსულა; ფიფიას დედა აფხაზი ჰყავდა და ახლაც ოჩამჩირის გუნდში თამაშობს, ტრუკალიოვი კი ტყვარჩელში დარჩა. თუ ღმერთმა ჰქნა და ისევ დავბრუნდით, ყველას ისევ „ამირანში" მოვაგროვებ. რუსეთში მყოფი მეგობრები მატყობინებენ, რომ აქედან წასულ აფხაზებს უთქვამთ, სანამ ქართველები არ დაბრუნდებიან, ჩვენ აფხაზეთში ჩამსვლელები არა ვართო. იციან, ვის ხელშია ჩავარდნილი ახლა აფხაზეთი. ჩემს წინ საბავშვო ბაღი იდგა, სხვათა შორის, მხოლოდ აფხაზთათვის განკუთვნილი. ჰოდა, არ ვაჭარბებ, არძინბას სურათზე მასწავლებელი ბავშვებს ალოცვინებდა!!!. ოჩამჩირელ და გუდაუთელ აფხაზებს დღემდე ომი აქვთ ერთმანეთში. იქაურმა მეზობელმა შემატყობინა, თურმე კიტოვანი რომ 13 იანვარს აფხაზეთში შესვლას აპირებდა, აფხაზები ძლიერ შეშინებულან და ვინ გემით, ვინ მანქანით, ვინაც ფეხით გარბოდნენო. არც ისე ძნელი და შეუძლებელია იქ დაბრუნება, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველაფერი, გონივრული პოლიტიკის გატარებით უნდა მოხდეს. მე კი ისევ ხელებს დავიკაპიწებ, „ამირანსაც" ავაღორძინებ და ახალ ვიტალი დარასელიასაც გავზრდი...

მამუკა კვარაცხელია

იყო დრო, ლანჩხუთის „გურია" საქართველოში მარტო თბილისის „დინამოს" ჩამოუვარდებოდა, მაგრამ, ეს იყო... ახლა კი ხმა დაირხა, „გურია" უსახსრობის გამო იშლებაო. არადა, როგორი სავალალოა ასეთი წარსულისა და ტრადიციების მქონე გუნდის დაშლა. საქმეში გასარკვევად „გურიის" მთავარი მწვრთნელი გიგლა იმნაძე მოვინახულეთ.


გიგლა იმნაძე

# არ დავიშლებით!

**— „გურიის" მოსალოდნელ დაშლაზე ლაპარაკი ჭორია თუ მართალი?**

— „გურია" ბოლო დღეებამდე ისეთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო, დაშლას აღარაფერი გვაკლდა, მაგრამ მხსნელად მოგვევლინა რაიონის ხელმძღვანელობა გამგებლის კარლო გუჯაბიძის თავკაცობით. მინდა იცოდეთ, რომ ამ კაცის წვლილი გუნდის გადარჩენაში უდიდესია. აკი პირდაპირაც გვითხრა — გუნდის დაშლაზე ლაპარაკიც ზედმეტია, „გურიას" წვრთნის და ვარჯიშის ნორმალური პირობები ექნებაო. ასე რომ, გადაწყდა, „გურია" ითამაშებს მეშვიდე ჩემპიონატში.

წინა სეზონში არაერთმა მოთამაშემ მიატოვა „გურია"... ჩემპიონატის მანძილზე 10-12 ფეხბურთელი გამოგვაკლდა. თევზაძე და რეხვიაშვილი შეპეტოვკის „ტემპში" წავიდნენ, ხართიშვილი ახლაც ვერ გვიპოვია, გამცემლიძე „დინამოში" ვარჯიშობს, დანარჩენებიც სხვა კლუბებში გაიფანტნენ. გუნდს ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელებით ვაკომპლექტებთ. ვაპირებთ ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებასაც. მზადებას 20-ივლისიდან დავიწყებთ. ცოტა ნაგვიანევია, მაგრამ როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო.

**— ერთ დროს სანაქებო თქვენი სტადიონი და გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზა რა დღეშია?**

— მთელი მეორე წრის განმავლობაში ცენტრალურ სტადიონზე, ფაქტიურად, არ გვითამაშია — პირობები არ გვქონდა, სათამაშო მინდორი სათანადოდ რომ მოგვემზადებინა. ამიტომ სათადარიგო მინდორზე ვთამაშობდით. ახლა სტადიონსაც მოვაწესრიგებთ, მრავალჭირნახული გრიგოლეთის ბაზის აღდგენაც დაწყებულია, ასე რომ, სტადიონისა და ბაზის პრობლემა არ გვექნება.

**— სხვა, უმთავრეს პრობლემაზე — თამაშსა და ქულებზე რას გვეტყოდით?**

— ჩვენს დღეში მყოფი, სხვას რა დაისახავს მიზნად — პირველ ჯგუფში დარჩენა და ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდა.

მამუკა ქვანტალიანი

# «ვაკე» სადანიოდ სპონსორს ეძებს...

ჟურნალისტები, მითუმეტეს საქართველოში, მუდმივად სპონსორების ძებნაში არიან. ჩვენმა მეორეარხელმა კოლეგებმა კი, პირიქით, თავად გასწიეს სპონსორობა, თანაც ქართული ფეხბურთისთვის ყველაზე საჭირო „უბანზე" — ბავშვთა ფეხბურთში. აგერ უკვე მესამე წელია „მეორე არხი" ნორჩი ფეხბურთელებისთვის ტრადიციულ ტურნირს აწყობს. ამჯერად იგი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა: 1983-84 და 1984-85 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. უფროსებში რვა გუნდი მონაწილეობდა და საბოლოოდ ფინალში „ვაკე-იბერიამ" მანუჩარ ჭანტურიას ერთადერთი გოლის წყალობით „მეორე არხის" გუნდს, „XXI საუკუნეს" სძლია და მთავარი პრიზიც მოიპოვა. უმცროსი ასაკის ფინალში კი „დინამომ" — „ინტურისტი" დაამარცხა 1:0 (კახა ილურიძე).

უფროს ასაკში გამარჯვებულ „ვაკე-იბერიის" ფეხბურთელები საფეხბურთო სკოლის — „ვაკე 91"-ის აღსაზრდელები არიან. „ვაკე" ამ ხუთ წელიწადში ღირსეულად ამოუდგა გვერდით ძველ, ტრადიციულ საფეხბურთო სკოლებს, ეს კი არა, ფინეთის, ჰოლანდიის, შვედეთის, უნგრეთის საერთაშორისო ტურნირებიც მოიგო. ბავშვთა ფეხბურთის ყველაზე ღირსშესანიშნავ ტურნირზე, ყოველწლიურად რომ იმართება დანიაში და „დანა კაპ"-ის სახელწოდებითაა ცნობილი, „ვაკემ" შარშან რვა მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ ფინალში წააგო ბრაზილიელებთან. დანიელებს ისე მოეწონათ ქართველთა თამაში, წელსაც მოიწვიეს. ახლა სკოლის დირექტორი კოტე დოლიძე სწორედ ამ ტურნირისთვის გასამგზავრებელი ხარჯების საშოვნელად დარბის, რაკილა საქართველოში შრომის სამინისტროში კონსულტაციებისთვის ჩამოსულმა დანიელმა დიპლომატმა კარსტენ შმიდტმა დანიაში ცხოვრებისა და კვების პრობლემა გადაუწყვიტა.

— ტურნირზე არჩასვლა გამორიცხულია, რადგან გარდა იმისა, რომ ეს ჩვენი ბავშვების ოსტატობის ზრდას წაადგება, ჩვენს საერთაშორისო პრესტიჟზე იმოქმედებს, მითუმეტეს კვებისა და სასტუმროს ხარჯები გადახდილია. დახმარებას დაგვპირდა „ინტურისტის" ხელმძღვანელი კონსტანტინე სალია, ფირმა „ჰებეს" პრეზიდენტი თამაზ უშვერიძე, ქალაქის მერიისა და ცეკავშირის წარმომადგენლები. არადა, დრო აღარ ითმენს, 20 ივლისს უნდა გავემგზავროთ. თუ ყველაფერი მოგვარდა, ის ბიჭები, ახლახანს მეორე არხის ტურნირი რომ მოიგეს, არც დანიაში შეირცხვენენ თავს და ბრაზილიელებთანაც რევანშს ეცდებიან.





146/438/23/161

# დანების ტრიალი პაისანდუში

## კოპა ამერიკა-95

არგენტინის ჩილესთან გამარჯვების შემდეგ ორი ბუენოს-აირესული კლუბის მოშუღარი ქომაგები პაისანდუში ერთმანეთს დაერივნეს, რის შედეგადაც ოთხი კაცი დაიჭრა, 19 წლის დანიელ გარსია კი მოკვდა. ურუგვაის პოლიცია საგანგებო ზომებს იღებს, მაგრამ სამეოთხედფინალოდ არგენტინელთა ახალი მოზღვავება მოსალოდნელი.



გაბრიელ ბატისტუტამ უკვე სამი გოლი გაიტანა

### „ა" ჯგუფი

12.VII პარაგვაი — ვენესუელა 3:2, ურუგვაი — მექსიკა წვიმის გამო ერთი დღით გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| მექსიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 0 | 3 | 4-10 | 0 |

პარაგვაი — ვენესუელას შეხვედრას, რომელმაც პარაგვაელებს მეოთხედფინალში გასვლა გაუნაღდა, მონტევიდეოში 100 მაყურებელი დაესწრო.

### „ბ" ჯგუფი

10.VII კოლუმბია — ეკვადორი 1:0; ბრაზილია — პერუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| კოლუმბია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პერუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

13 ივლისი. ბრაზილია — კოლუმბია, პერუ — ეკვადორი

კოლუმბიელთა უპირატესობა ეკვადორთან შეხვედრაში იმდენად აშკარა იყო, რომ საბოლოო შედეგი — 1:0 გაკვირვებას იწვევს. ყველას კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი ნიჭი ევროპელთათვის კარგად ცნობილმა ფაუსტინიო ასპრილიამ, თუმცა შეხვედრის ერთადერთ გოლში მას მონაწილეობა არ მიუღია. მატჩის ბედი კი 45-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც თამაშითა და სახალისო გარეგნობით გამორჩეულმა ვეტერანმა კარლოს ვალდერამამ ფრედი რინკონს მიაწოდა, ამან კი ბურთს კარში მიუჩინა ადგილი. რაც შეეხებათ ბრაზილიელებს, მათ უკვე მეოთხედფინალისკენ გაიკაფეს გზა. მართალია, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის თამაშის შესაქებად კაცს ენა არ მოუბრუნდება, მაგრამ ის რომ ამ გუნდმა მეორე თამაში პირველზე უკეთ ჩაატარა, ფაქტია. პერუელებთან შეხვედრის პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია დამარცხებულთა მეკარის მიგელ მირანდას თამაში. გარდა ამისა, ბრაზილიელებს ოფსაიდის გამო გოლიც არ ჩაუთვალეს. მეორე ტაიმიც ფავორიტთა უპირატესობით წარიმართა. ჯერ რობერტო კარლუშმა ცაციით ჯარიმიდან ძელს მოარტყა, 33-ე წუთზე კი საჯარიმოში შეიჭრა, სადაც წააქციეს და ზინიომ პენალტი ზუსტად შეასრულა. ცოტა ხანში ედმუნდომ მეორე გოლიც გაიტანა — მის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზს ცოტათი გადასცდა, რაც მსაჯმა უმალ შეამჩნია. ამის შემდეგ პერუმ „კაპიტულაცია" გამოაცხადა.

### „გ" ჯგუფი

11. VII არგენტინა — ჩილე 4:0, ბოლივია — აშშ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| აშშ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბოლივია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩილე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

14 ივლისი. არგენტინა — აშშ, ჩილე — ბოლივია

მეორე ადგილისთვის იბრძოლეთ, თავში ქვაც გიხლიათო და, არგენტინამ თავისი საქმე გააკეთა. დანიელ პასარელას თმაგაკრეჭილმა გუნდმა ფანტაზიითაც ითამაშა და შინაგანი დისციპლინაც გამოავლინა. ცხადია, დღევანდელი არგენტინა ჯერ შორსაა იმ გუნდისაგან, პასარელა 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომ ოცნებობს, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, მას კბილების გამოჩენა უკვე შეუძლია. ცნობილმა გაბრიელ ბატისტუტამ კი ოთხივე გოლის გატანაში მიიღო მონაწილეობა, ორჯერ ავტორი იყო, ორჯერაც თანაავტორი. ბატისტუტამ დასაწყისშივე, პირველსავე წუთზე ისახელა თავი. ხუთი წუთის შემდეგ კი სიმეონეს გაუჭრა და მეორე გოლი შეაგდებინა. მესამე გოლი კვლავ გაბრიელმა გაიტანა: კასერესისაგან პასი მიიღო და წაქცეულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, მეოთხეჯერ კი აბელ ბალბოს მიაწოდა, რომელმაც ჩილელთა იმდღევანდელი უნიათობა საბოლოოდ „გააფორმა". ბოლივიელთა, აშშ-ზე გამარჯვებაში კი წვლილი მარკო ეჩევერიმ შეიტანა, თამაშის ერთადერთი გოლი სწორედ მის დარტყმას მოჰყვა.

# ინტერტოტოს თასი

### I ჯგუფი

ბაზელი (შვეიცარია) — შეფილდ უენსდეი (ინგლისი) 1:0, ორჰუსი (დანია) — გურნიკი (ზაბჟე, პოლონეთი) 4:1;
კარლსრუე (გერმანია) — ორჰუსი 3:0, გურნიკი — ბაზელი 1:2
ბაზელი — კარლსრუე 2:3, შეფილდი — გურნიკი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 2 | 2 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| ბაზელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ორჰუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| შეფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| გურნიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-9 | 0 |

15-16 ივლისი. კარლსრუე — შეფილდი, ორჰუსი — ბაზელი.
22-23 ივლისი. შეფილდი — ორჰუსი, გურნიკი — კარლსრუე

### II ჯგუფი

ოსტერსი (ვექშე, შვედეთი) — კიოლნი (გერმანია) 0:0, ტოტენჰემ ჰოთსპური (ლონდონი, ინგლისი) — ლუცერნი (შვეიცარია) 0:2
რუდარი (ველნიე, სლოვენია) — ტოტენჰემი 1:2, ლუცერნი — ოსტერსი 3:2
ოსტერსი — რუდარი 3:3, კიოლნი — ლუცერნი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუცერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| კიოლნი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ოსტერსი | 3 | 0 | 2 | 1 | 5-6 | 2 |
| რუდარი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 | 1 |

15-16 ივლისი. რუდარი — კიოლნი, ლუცერნი — რუდარი.
22-23 ივლისი. კიოლნი — ტოტენჰემი, ლუცერნი — რუდარი.

### III ჯგუფი

პავნარ ბოლტფელაგი (ტორსჰავნი, ფარერები) — უნივერსიტატია (კლუჟი, რუმინეთი) 0:0, არაუ (შვეიცარია) — ტრომსო (ნორვეგია) 2:2
ეკერენი (ბელგია) — არაუ 3:3, ტრომსო — პავნარი 10:0
პავნარი — ეკერენი 1:1, უნივერსიტატია — ტრომსო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსო | 3 | 2 | 1 | 0 | 13-2 | 7 |
| არაუ | 2 | 0 | 2 | 0 | 5-5 | 2 |
| ეკერენი | 2 | 0 | 1 | 0 | 4-4 | 2 |
| პაფნარი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-11 | 2 |
| უნივერსიტატია | 2 | 0 | 1 | 2 | 0-1 | 1 |

15-16 ივლისი. ეკერენი — უნივერსიტატია, არაუ — პაფნარი.
22-23 ივლისი. ტრომსო — ეკერკნი, უნივერსიტატია — არაუ.

### IV ჯგუფი

ბეკეშჩაბა (უნგრეთი) — უნიაუ (ლეირია, პორტუგალია) 2:2, პერენვეენი (ჰოლანდია) — ნესტვედი (დანია) 2:1
ტონ-პეტრი (უელსი) — პერენვეენი 0:7, ნესტვედი — ბეკეშჩაბა 3:3
ბეკეშჩაბა — ტონ-პეტრი 4:0, უნიაუ — ნესტვედი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერენვეენი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ბეკეშჩაბა | 3 | 1 | 2 | 0 | 9-5 | 4 |
| უნიაუ | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| ნესტვედი | 3 | 0 | 2 | 1 | 5-6 | 2 |
| ტონ-პეტრი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-11 | 0 |

15-16 ივლისი. ტონ-პეტრი — უნიაუ, პერენვეენი — ბეკეშჩაბა.
22-23 ივლისი. უნიაუ — პერენვეენი, ნესტვედი — ტონ-პეტრი.

### V ჯგუფი

ბოჰემიანი (დუბლინი, ირლანდია) — ოდენსე (დანია) 0:2, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — ჰ.ი.კ. (ჰელსინკი, ფინეთი) 1:1
ბორდო (საფრანგეთი) — ნორჩიოპინგი 6:2, ჰელსინკი — ბოჰემიანი 3:2
ბოჰემიანი — ბორდო 0:1, ოდენსე — ჰელსინკი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 7-2 | 6 |
| ოდენსე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| ჰელსინკი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 5 |
| ნორჩიოპინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-7 | 1 |
| ბოჰემიანსი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

15-16 ივლისი. ბორდო — ოდენსე, ნორჩიოპინგი — ბოჰემიანსი.
22-23 ივლისი. ჰელსინკი — ბორდო, ოდენსე — ნორჩიოპინგი.

### VI ჯგუფი

კეფლავიკი (ისლანდია) — მეცი (საფრანგეთი) 1:2, ლინცერ ა.ს.კ. (ავსტრია) — პარტიკ თისლი (გლაზგო, შოტლანდია) 2:2
ზაგრები (ხორვატია) — ლინცერი 0:0, პარტიკ თისლი — კეფლავიკი 3:1
მეცი — პარტიკ თისლი 1:0, კეფლავიკი — ზაგრები 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| პარტიკ თისლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| ლინცერი | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ზაგრები | 2 | 0 | 2 | 0 | 0-0 | 2 |
| კეფლავიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

15-16 ივლისი. ზაგრები — მეცი, ლინცერი — კეფლავიკი.
22-23 ივლისი. მეცი — ლინცერი, პატრიკ თისლი — ზაგრები.

### VII ჯგუფი

ტერვისი (ტარნტ, ჰოლანდია) — ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია) 1:3
ოფი (კრეტა, საბერძნეთი) — ნეა სალამინა (ფამაგუსტა, კვიპროსი) 2:1
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — ოფი 1:0, ნეა სალამინა — ტერვისი 2:0
ტერვისი — ლევერკუზენი 1:6, ბუდუჩნოსტი — ნეა სალამინა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| ბუდუჩნოსტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| ნეა სალამინა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| ოფი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| ტერვისი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-11 | 0 |

15-16 ივლისი. ლევერკუზენი — ბუდუჩნოსტი, ოფი — ტერვისი.
22-23 ივლისი. ნეა სალამონა — ლევერკუზენი, ბუდუჩნოსტი — ოფი.

### VIII ჯგუფი

პოგონი (შჩეცინი, პოლონეთი) — კანი (საფრანგეთი) 1:2, ბეჩეი (იუგოსლავია) — ფარული (კონსტანცა, რუმინეთი) 1:2
დნეპრი (მოგილიოვი, ბელარუსი) — ბეჩეი 2:1, ფარული — პოგონი 2:1
კანი — ფარული 0:0, პოგონი — დნეპრი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფარული | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| დნეპრი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| კანი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბეჩეი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| პოგონი | 3 | 0 | 1 | 2 | 5-7 | 0 |

15-16 ივლისი. დნეპრი — კანი, ბეჩეი — პოგონი.
22-23 ივლისი. კანი — ბეჩეი, ფარული — დნეპრი.

### IX ჯგუფი

ბობი (ბრნო, ჩეხეთი) — გრონინგენი (ჰოლანდია) 1:2, ჩაპლაული (პიატრა-ნიამტი, რუმინეთი) — ეტარი (ტირნოვო, ბულგარეთი) — 2:0
ბევერენი (ბელგია) — ჩაპლაული 0:2, ეტარი — ბობი 3:2
ბობი — ბევერენი 3:2, გრონინგენი — ეტარი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ჩაპლაული | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| ბობი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| ეტარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

15-16 ივლისი. ბევერენი — გრონინგენი, ჩაპლაული — ბობი.
22-23 ივლისი. ეტარი — ბევერენი, გრონინგენი — ჩაპლაული.

### X ჯგუფი

ბეითარი (იერუსალიმი, ისრაელი) — შარლერუა (ბელგია) 0:1, უიმბლდონი (ლონდონი, ინგლისი) — ბურსასფორი (თურქეთი) 0:4
კოშიცე (სლოვაკეთი) — უიმბლდონი 1:1, ბურსასფორი — ბეითარი 2:0
შარლერუა — ბურსასფორი 0:2, ბეითარი — კოშიცე 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბურსასფორი | 3 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| კოშიცე | 2 | 1 | 1 | 0 | 6-4 | 4 |
| შარლერუა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| უიმბლდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| ბეითარი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

15-16 ივლისი. კოშიცე — შარლერუა, უიმბლდონი — ბეითარი.
22-23 ივლისი. შარლურუა — უიმბლდონი, ბურსასფორი — კოშიცე.

### XI ჯგუფი

ფლორიანა (მალტა) — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) 0:4, გენჩლერბირლიგი (ანკარა, თურქეთი) — ჰაპოელი (ფეთახ-თიქვა, ისრაელი) 4:0
სტრასბური (საფრანგეთი) — გენჩლერბირლიგი 4:1, ჰაპოელი — ფლორიანა 1:1
ფლორიანა — სტრასბური 0:4, ტიროლი — ჰაპოელი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| სტრასბური | 2 | 2 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| გენჩლერბირლიგი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| ჰაპოელი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| ფლორიანა | 3 | 0 | 1 | 1 | 1-9 | 1 |

15-16 ივლისი. სტრასბური — ტიროლი, გენჩლერბირლიგი — ფლორიანა.
22-23 ივლისი. ჰაპოელი — სტრასბური, ტიროლი — გენჩლერბირლიგი.

### XII ჯგუფი

სპარტაკი (პლოვდივი, ბულგარეთი) — აინტრახტი (ფრანკფურტი, გერმანია) 0:4, ფორვარტსი (შტირი, ავსტრია) — ირაკლისი (სალონიკი, საბერძნეთი) 3:
პანერისი (ვილნიუსი) — ფორვარტსი 1:1, ირაკლისი — სპარტაკი 0:0
აინტრახტი — ირაკლისი 5:1, სპარტაკი — პანერისი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-1 | 6 |
| ფორვარტსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| პანერისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| ირაკლისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |

15-16 ივლისი. პანერისი — აინტრახტი, ფორვარტსი — სპარტაკი.
22-23 ივლისი. აინტრახტი — ფორვარტსი, ირაკლისი — პანერისი.

## ფეხბურთის რუკასთან





გასკოინმა თმა შეიღება და გლაზგოშიც გადაბარგდა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შექმნა საგანგებო კომისია, რომელიც ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში „არსენალის" ყოფილი მწვრთნელის ჯორჯ გრემის საქმეს ჩაუჯდა. ასოციაციამ საქმის გასარჩევად მოიწვია დამოუკიდებელი ექსპერტი, „დედოფლის მრჩევლის" წოდების მქონე ედმუნდ გრეისონი, რომელიც სპორტული საკითხების გაჩხრეკაშია გაწაფული. შეგახსენებთ, რა შარში გაეხვა გრემი: მან 1991 წლის დეკემბერში ნორვეგიელ შუამავალს რუნე ჰოლგერს, რომელსაც ოფისი კუნძულ გერნსიზე ჰქონდა, გამოართვა ქრთამი — 425 ათასი გირვანქა, რის სამაგიეროდაც თავის გუნდში მოაწყო ორი ფეხბურთელი, დანიელი იენსენი და ნორვეგიელი ლაიდსენი. შემდეგ, ეს ამბავი რომ გახმაურდა, გრემმა მთელი თანხა უკლებლივ ჩააბარა კლუბს და ბოდიშიც მოითხოვა. „არსენალმა" მწვრთნელი გააგდო. სასამართლოებში სირბილმაც ცალკე ხარჯი მოითხოვა, თანაც გრემს გარკვეული ვადით ფეხბურთთან საქმის დაჭერა აუკრძალეს. ახლა კომისიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, საერთოდ ჩამოსცილდება ფეხბურთს თუ პირიქით, გამართლებული „არსენალს" უჩივლებს და, სავარაუდოდ, ერთ მილიონ გირვანქასაც გადაახდევინებს. „დედოფლის მრჩეველმა" კომისიის წევრებს ყველა წვრილმანისადმი მეტისმეტი გულისყურით მოკიდება შესთავაზა, რადგან, თუ რომელიმე ნიუანსი გამორჩებათ, გრემი ჩვეულებრივ სასამართლოში იჩივლებს და კომისიას ცივი წყალი გადაესხმება.

ნიგერმა აფრიკის ჩემპიონატში მონაწილეობას თავი დაანება. ამ ქვეყნის წარმომადგენლები გამუდმებით საყვედურობდნენ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას, რომ მათ შეხვედრებში ცუდად, მეტოქეთა სასარგებლოდ მსაჯობდნენ. ამის უმთავრეს მაგალითად კონგოსთან თამაში მოჰყავთ. ნიგერი მესამე შესარჩევ ჯგუფში გამოდიოდა და განასა და სიერა ლეონეს ისე ჩამორჩებოდა, რომ სამხრეთ აფრიკაში გასამართ კონტინენტის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი აღარ ჰქონდა.

კოლუმბიაში კვლავ მოკლეს ფეხბურთელი. ახალი მსხვერპლი მედელინის „დეპორტივო ინდეპენდიენტეს" 24 წლის მოთამაშე ანტონიო როდრიგესია. როდრიგესს დილით მთელი ჯგუფი დაუხვდა და ტყვია ტყვიაზე დაახალა. გარდაცვლილის მამამ განაცხადა, რომ მის შვილს მტრები არ ჰყავდა. მკვლელობის მოტივი უცნობია. ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელმა შენიშნა, როგორ იპარავდნენ მის მანქანას და ქურდებს დაუცაცხანა, რისთვისაც ბოროტმოქმედებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს.

არგენტინაში „რივერ პლეიტის" მწვრთნელად ერთი წლით დანიშნეს რამონ დიასი. დიასი საფეხბურთო სამყარომ 1979 წლის ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიცნო, თბილისელმა გულშემატკივარმა კი 1982 წელს „ნაპოლის" შემადგენლობაში იხილა. თავდამსხმელმა იმ თამაშში „დინამოს" გოლი გაუტანა.

იტალიაში გამოძიებამ გაამართლა 16 დიდმოხელე, რომელთა შორის იყო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პრიმო ნებიოლო. ამბობდნენ, ჩინოვნიკებმა 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის რომის ოლიმპიური სტადიონის სარემონტო თანხა 56 მილიონი დოლარი 150 მილიონად აქციეს და სხვაობა ჯიბეში ჩაიდეს, თუმცა მართლმსაჯულება ამ ვერსიას არ დაეთანხმა.

ინგლისის „არსენალმა" 4,75 მილიონ გირვანქად გენუის „სამპდორიისგან" იყიდა დევიდ პლატი, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება უზომოდ გახარებია. კიდევ ერთი ინგლისელი, პოლ გასკოინი რომის „ლაციოდან" 4,3 მილიონ გირვანქად „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა. გადასვლით გასკოინიც კმაყოფილია, უპირველესად იმიტომ, რომ მომავალი თანაგუნდელების ოსტატობა მოსწონს. „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს კი ანდრეი კანჩელსკისის გაშვება არ უნდოდა. დავიდარაბის შემდეგ მწვრთნელი მოტყდა და რუსეთის ნაკრების მოთამაშეც ინსისა და ჰიუზის მსგავსად გუნდიდან წასულებში მოიხსენია. „საუთჰემპტონის" მეკარეს, ტოტალიზატორებთან საქმის დაჭერაზე ეჭვმიტანილ ბრუს გრობელაარს თავდები 21 ივლისიდან 24 ივლისამდე გაუგრძელეს.

ინგლისშივე დაითვალეს და ნახეს, რომ აქაურ კლუბებს ახალი ფეხბურთელების ყიდვაში უკვე 60 მილიონი გირვანქა დაუხარჯავთ. „არსენალი" თურმე უკვე ვალებშიცაა, „ჩელსი" გულიტის ხელფასის გადახდას მხოლოდდამხოლოდ იმით შესძლებს, რომ „სამპდორიამ" ჰოლანდიელ ვეტერანს პატივი სცა და უსასყიდლოდ გაუშვა. მართალია, კლუბებს დიდი შემოსავალიც აქვთ, რასაც ტელევიზია, სპონსორები, ძვირი ბილეთი და სიმბოლიკით ვაჭრობა იძლევიან, მაგრამ საქმეში ჩახედულთა აზრით, ეს დანახარჯს მაინც ვერ დაფარავს.

იტალიაში გენუის „სამპდორიამ" ამსტერდამის „აიაქსისგან" შეიძინა 19 წლის კლარენს ზეედორფი, რომელმაც წლეულს ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშა.

რვაათასიანები

# სიკვდილის მთა




**ნანგა პარბატზე** 1934 წლის გერმანელთა უდიდესმა კატასტროფამ სერიოზულად ჩააფიქრა იქაური მთამსვლელები, ამიტომ 1937 წლამდე ამ მწვერვალს ვეღარ შებედეს, თუმცა მასზე საიერიშო სამზადისი 1936 წელს დაიწყეს. საქმეს გერმანიის ჰიმალაელთა საზოგადოებამ მოკიდა ხელი. საზოგადოებაც და გერმანიის წამყვანი მთამსვლელებიც ფიქრობდნენ, ნანგა პარბატზე გამარჯვების რეალური შანსი არსებობსო. ასეთ რწმენას ისიც უღვივებდათ, რომ 1934 წელს შნეიდერსა და აშენბრუნერს მწვერვალამდე სულ რაღაც 250 მეტრი დააკლდათ, ამ მონაკვეთზე კი ტექნიკური სირთულე აღარ არსებობსო.

და აი, დიდი სამზადისის მერე გერმანელები კვლავ ჰიმალაისკენ გაემგზავრნენ. ექსპედიციის სათავეში ჩაუყენეს კარლ ვინი, რომელიც 9 წლის წინათ საბჭოთა კავშირში, პამირზე აღმართულ ლენინის პიკზე ასვლითაც სამართლიანად ამაყობდა. მთამსვლელთა გუნდში იყვნენ: პეტერ ფანკჰაუზერი, ადოლფ გიოტნერი, ჰანს ჰარტმანი, გიუნტერ ჰეპი, პეტერ მიულრიტერი და მარტინ პფეფერი. ექსპედიციაში იყვნენ სამეცნიერო ჯგუფის წევრები, ექიმი ულრიჰ ლიუფტი და გეოგრაფი კარლ ტროლი.

მთამსვლელებმა წინა ექსპედიციის ნაკვალევზე იარეს და ოთხი საშუალედო ბანაკიც მოკლე დროში გამართეს, მაგრამ ეს ბოლო ბანაკი, წინა ექსპედიციისაგან განსხვავებით, რატომღაც დასავლეთით, რაკპიოტის პიკის (6700 მ) ყინულვარდნის ქვეშ დადგეს. არადა შერპები, რომლებსაც ზვავების რაღაც საოცარი, ინსტიქტური გრძნობა აქვთ, გერმანელებს დაჟინებით ურჩევდნენ, ბანაკი აქ არ დადგათო.

ასე იყო თუ ისე, 14 ივნისს შვიდივე გერმანელმა მთამსვლელმა და ცხრა შერპმა თავი იქ მოიყარა, ქვემოთ კი მხოლოდ ექიმი ლიუფტი და რამდენიმე შერპი დარჩა. დილით მოიერიშეები, უკლებლივ ყველანი, ზემოთ უნდა გადაბარგებულიყვნენ, იქ მეხუთე ბანაკიც მოეწყოთ და მწვერვალზე გადამწყვეტი ასვლაც დაეწყოთ. ამ დროისთვის მშვენიერი ამინდი იდგა და მთამსვლელთა გუნება-განწყობილებაც მისი შესაფერისი იყო, მაგრამ შერპები მოუსვენრად წრიალებდნენ, მერე კი მათაც გერმანელთა განწყობა გადაედოთ. შებინდებისას ყველანი საძილე ტომრებში ჩაიფუთნენ და მშვიდად ჩაიძინეს, მაგრამ იმ ღამეს, 15 ივნისი დაიწყო თუ არა, რაკპიოტის პიკიდან უზარმაზარი ყინულის მასა მოწყდა, ამას მძლავრი ზვავიც გადმოჰყვა და ეს ყველაფერი მეოთხე ბანაკს თავს დაატყდა. ყინულის უზარმაზარმა ლოდებმა და თოვლის უშველებელმა მასამ თექვსმეტივე მთამსვლელი მძინარენი ჩაჩუმქრა. მათი დაღუპვის ამბავი მხოლოდ მეოთხე დღეს შეიტყვეს, როცა კატასტროფის ადგილზე ექსპედიციის ექიმი ავიდა. მერე აქ გერმანიიდან საგანგებოდ გაგზავნილი პატარა ჯგუფიც ავიდა პაულ ბაუერის მეთაურობით და ზვავში მოყოლილნი, ორის გარდა, მოძებნა და ამოთხარა. გერმანელები მწვერვალის ძირში ჩამოასვენა, მიწასაც იქვე მიაბარა, შერპები კი, მათ თანამემამულეთა თხოვნით, დაღუპვის ადგილზე დატოვა და თოვლში ჩამარხა, მაგრამ ვერც ამ ჯგუფმა და ვერც სხვებმა ვერაფრით დაადგინეს, თუ კარლ ვინის ექსპედიციამ რატომ დადგა მეოთხე ბანაკი იქ და არა ძველ, ნაცად და სრულიად უხიფათო ადგილზე.

გერმანელები ვერც თექვსმეტი კაცის დაღუპვამ გატეხა და მომდევნო წელს ისინი პაულ ბაუერის მეთაურობით კვლავ ნანგა პარბატის ფერდობებზე გამოჩნდნენ.

ბაუერი ფრიად მაღალი დონის მთამსვლელი გახლდათ და სხვა რვაათასიანზე, კანჩენჯანგაზე ჭიდილში დიდი გამოცდილებაც ჰქონდა დაგროვილი. ძველი გვარდიიდან ექსპედიციაში იყვნენ ბეჰტოლდი და ექიმი ლიუფტი, ხოლო „ახალწვეულთაგან“ კლინგენშპერი, რებიჩი, რუტსი, შმადერერი და ცუკი.

სხვათა შორის, ლიუდვიგ შმადერერი მანამდე საქართველოში იყო და თანამემამულეებთან ერთად კავკასიონზე შხელდასა და უშბაზე ასვლებში მონაწილეობდა.

გერმანელებმა ჰიმალაის ექსპედიციების ისტორიაში ბარგის ტრანსპორტირებისთვის პირველად გამოიყენეს თვითმფრინავი. ისინი ამით, როგორც იტყვიან, ორ კურდღელს იჭერდნენ – თან მრავალდღიან ჭაპანწყვეტას იმსუბუქებდნენ, თან სამძრავიან „იუნკერსს“ ცდიდნენ, მაგრამ თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ბარგის ნაწილი მყინვარის ნაპრალებში ჩაცვივდა და ჩაიკარგა, ნაწილი კი დაიმსხვრა, მაგრამ რაც გადარჩა, მათთვის ისიც დიდი შეღავათი იყო. ექსპედიციას ამინდის ხშირი ცვალებადობა აბრკოლებდა, მაგრამ ისინი მაინც ზემოთ მიიწევდნენ. მთამსვლელებმა მეექვსე ბანაკიდან (6950 მ) რამდენჯერმე სცადეს „ვერცხლის უნაგირზე“ ასვლა, მაგრამ ისეთი ელვა და ჭექა-ქუხილი ატყდა, თითქოს მთები გადმოინგრა და ცაც ჩამოიქცაო, ამიტომ უკანდახევა ამჯობინეს.

მაგრამ ბაუერი ის კაცი არ იყო, ასე იოლად რომ შეშვებოდა ნანგა პარბატს. გადაწყვიტა გამოდარებას დალოდებოდა და კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. ასეც მოიქცა, მაგრამ ახლა სავალი გაართულა სქლად დადებულმა ახალმა თოვლმა და ქარბუქმა, რომელიც დღის მეორე ნახევარში, ერთსა და იმავე დროს ისეთი სიზუსტით იწყებოდა, რომ საათს გაასწორებდა კაცი. ამიტომ ექსპედიციამ საბოლოოდ შეწყვიტა იერიში.

გერმანელთა მაქსიმალური სიმაღლე ამჯერად იყო 7300 მეტრი, სადაც ჰერბერტ რუტსმა და გიას რებიჩმა აღწიეს.

ამ ექსპედიციამ სახელი უფრო იმით გაითქვა, რომ 1934 წელს დაღუპულთა კარგად შენახული გვამები აღმოაჩინა. ორი მათგანი, გერმანელი მიორკლი და შერპი გაიალი ერთად იწვნენ. მნახველთათვის აშკარა გახდა, რომ შერპმა მეტ ხანს იცოცხლა, მაგრამ ექსპედიციის ხელმძღვანელის მიტოვებას მასთან დარჩენა და სიკვდილი ამჯობინა.

ბაუერის ჯგუფმა კიდევ ერთი გვამი ნახა, ისიც 1934 წელს დაღუპული შერპის პინჯუ ნორბუსი, რომელიც ყინულოვან კედელზე თოკზე თავდაყირა ეკიდა.

პაულ ბაუერის ექსპედიციამ სახელი იმით გაითქვა, რომ მისი ყველა წევრი ცოცხალი დაბრუნდა, რაც უკვე წარმატებად მიიჩნიეს.

ნაანგა პარბატის ფერდობებზე გერმანელები ვერც საკუთარი თვალით ნანახმა შემზარავმა სურათებმა შეაკრთო. ეგ კია, ისინი დაეჭვდნენ, იქნებ რაკპიოტის პიკის გავლით მთავარი მწვერვალისაკენ მიმავალი მარშრუტი საუკეთესო არცააო. დიამირის მხრიდან მამერის გზაც გაიხსენეს. დიდი ბჭობის მერე კი გადაწყვიტეს, 1939 წელს ნანგა პარბატზე გაეგზავნათ პატარა, ოთხკაციანი ექსპედიცია ჰენრიხ ჰარერის, ჰანს ლობენჰოფერის, ლიუდვიგ ჰიკენის შემადგენლობითა და პეტერ აუფშნაიტერის მეთაურობით. ექსპედიციის მიზანი მამერის არჩეული მარშრუტის დაზვერვა იყო. ისინი ამ მიზნით დიამირის მყინვარზე 5900 მეტრამდეც ავიდნენ, ამავე სახელის პიკზეც (5568 მ), იქვე ჰანალოც (6400 მ) დალაშქრეს, იქიდან კედელზე დაკიდებული ნახატივით შეათვალიერეს ნანგა პარბატი და დარწმუნდნენ, რომ მამერის გზა ქვათაცვენისა და ზვავების გამო გაცილებით სახიფათო იყო. მათ საკუთარი თვალით იხილეს ისიც, თუ ვეება ზვავმა როგორ ამოავსო დიამირის მყინვარის ცირკი. ისიც ნახეს, ამ ზვავმა როგორ გადაუარა და გადათელა თხემი, რომლებზეც რამდენიმე დღის წინ თავად იდგნენ. ეს ზვავი თავს დაატყდა იმ ადგილსაც, სადაც საბანაკო ადგილი შეიგულეს.

მარშრუტის გამოკვლევისას აუფშნაიდერის ჯგუფის წევრებმა 6100 მეტრ სიმაღლეზე 1895 წელს უკვალოდ გამქრალი მამერის ექსპედიციის ბანაკის ნარჩენებს მიაგნეს.

და მაინც, ექსპედიციის მეთაურს ეს მარშრუტი მისაღები ეჩვენა, მაგრამ საბოლოო დასკვნა ის იყო, რომ 1932-38 წლების ექსპედიციების გზა, სადაც წარუმატებლობას წარუმატებლობა მოსდევდა, მსხვერპლს – მსხვერპლი, საუკეთესო იყო და ისევ იქიდან უნდა ეცადათ მიზნის მიღწევა.

გერმანელთა ასეთი შეუპოვრობა იმაზე მეტყველებდა, რომ მათ ნებისმიერ ფასად უნდა დაემარცხებინათ სიკვდილის მთა, თუნდაც შერპების გარეშე, რომელთა გამოცდილმა მთამსვლელებმაც იმ ტრაგედიების მერე ბაუერის ექსპედიციებში მონაწილეობაზე ხელი აიღეს.

ამასობაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და გერმანელებს ნანგა პარბატისთვის და საერთოდ ჰიმალაისთვის აღარ ეცალათ. 1950 წლამდე ნანგა პარბატზე არც სხვები გამოჩენილან. იმ წლის ზამთარში კი „ჰიმალაის ავსულს“ სამი ინგლისელი ეწვია. ესენი იყვნენ გურკების პოლკების კაპიტნები ტორნლეი და კრუისი და მესანგრეთა ლეიტენანტი რიჩარდ მარჩი. მათ უნდა შეესწავლათ ყარაყორუმის მთაგრეხილი, დასავლეთ ტიბეტი და ის ტერიტორია, რომელიც თურქესტანს ესაზღვრება. მათთან ერთად იყვნენ შერპები ანგ ტემპა, აჯიბა და პჰუ ტარკე, რომლებსაც სამი წლის მერე ევერესტზე პირველამსვლელი თენსინგ ნორგეი სირდარობდა. როცა ისინი ნანგა პარბატის რაიონში მოხვდნენ, თანდათან, შეფარვით, ნამდვილი მიზნის გამჟღავნება დაიწყეს, მწვერვალის დალაშქვრა ხომ არ ვცადოთო. არადა, ინგლისელებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ „საშინელებათა მთის“ ვერაგობაზე. მათ არც სასიმაღლო-ასვლების გამოცდილება გააჩნდათ, არც სათანადო აღჭურვილობა. ინგლისელები გადაჭრით მაინც არ ამხელდნენ გულისწადილს და მეცნიერულ დაკვირვებას აგრძელებდნენ. ასე თანდათანობით, კიდევ ცოტას ძახილით, იმდენად აიწიეს სიმაღლეში, რომ პირველი ბანაკი დადგეს.

„საგრძნობლად აცივდა, – იხსენებდა ამ ამბავს თენსინგი. – ზუოდა ძლიერი ქარი. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გზის გაგრძელებას ვეღარ გაბედავდნენ, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ინგლისელებს კიდევ ცოტა მაღლა ასვლა უნდოდათ. ტორნლეი მეტისმეტად გაბედული და შეუპოვარი კაცი იყო, ასე გვგონებოდათ, ძალას სწორედ მძიმე მუშაობით იკრებსო. როდესაც მთებში გატარებულ ჩემს ცხოვრებას ვიგონებ, შემიძლია ვთქვა, რომ ტორნლეი ყველაზე ძლიერი იყო იმ მთამსვლელთა შორის, რომელთაც მე ვიცნობდი. ხელსაყრელ პირობებში ნანგა პარბატსაც აიღებდა და ევერესტსაც.

მაგრამ მაშინდელ პირობებს არაფრით შეიძლება ხელსაყრელი ეწოდოს, მაღალი მთის დასამორჩილებლად კი მარტო ფიზიკური ლონე როდი კმარა. „შეგვიძლია გზის გაგრძელება“, – თქვა ტორნლეიმ. მარჩმა და კრუისმაც დაუჭირეს მხარი. მაგრამ ჩვენ, შერპები აგრერიგად დარწმუნებულნი არ ვიყავით.“

შერპების გაფრთხილებას ყური არავინ ათხოვა და ჯგუფი მწვერვალისკენ დაიძრა. შერპები გაჯიუტდნენ, წინ ერთ ნაბიჯსაც აღარ გადავდგამთო და ბანაკში დარჩნენ.

ექვსი დღის მერე მარჩი დაბრუნდა, რაკი ფეხები მოეყინა და სიარული აღარ შეეძლო.

ამის მერე ქვემოთ დარჩენილნი ზემოთ წასულებს ყოველდღე დურბინდით დაეძებდნენ, თან მარჩს უვლიდნენ, თავს დაჰფოფინებდნენ. შერპებმა დაინახეს, თუ ინგლისელებმა როგორ გაშალეს მეორე ბანაკი, მერე მესამეც, 5500 მეტრის სიმაღლეზე, საღამოჟამს. დაინახეს, როგორ დაიწყეს საჭმლის მომზადება. ამასობაში დაბნელდა.

ირიჟრაჟა თუ არა, თენსინგმა დურბინდი მოიმარჯვა. ამაოდ ეძება ზემოთ წასულნი. წარმოუდგენელი იყო, რომ მათ ღამით კარვის გადატანა-გადმოტანა დაეწყოთ, ამიტომ შეშფოთებულნი ყველანი მაღლა ავიდნენ, მაგრამ ნაბანაკარამდე ვეღარ აღწიეს.

თენსინგის აზრით, ღამით მყინვარი გასკდა, ნაპრალი გაჩნდა და ინგლისელები თან ჩაიტანა.

„ყოველგვარი სიძნელისა და ტრაგიკული დასასრულის მიუხედავად, ამ ექსპედიციას ახასიათებდა ერთი შესანიშნავი თვისება: მთამსვლელებსა და მზიდავებს შორის არავითარი განსხვავება არ იყო, ყველა ერთ საერთო საქმეს ვაკეთებდით და ერთნაირი ტვირთი მიგვქონდა, ყოველ წუთს ვიყავით მზად ერთმანეთის დასახმარებლად, ძმები ვიყავით და არა დამქირავებლები და დაქირავებულები“ – ამბობდა თენსინგი.

ტორნლეი და კრუისი ნანგა პარბატის 31-ე და 32-ე მსხვერპლნი გახდნენ. მათ კვალს 1971 წელს მიაგნეს. მაშინ ჩეხოსლოვაკიელთა ექსპედიციის წევრებმა ინგლისელთა კარვის დასამაგრებელი პალოები, ფოტოაპარატის კასეტები და დღიურის ფურცლები ჩამოიტანეს.

ჩეხოსლოვაკიელთა ეს ექსპედიცია ნანგა პარბატზე მეოთხე წარმატებული ასვლა იყო, პირველი გამარჯვება კი 1953 წელს გერმანიისა და ავსტრიის გაერთიანებული გუნდის წევრებმა იზეიმეს, რასაც ჩვენი რუბრიკის მომდევნო გამოშვებაში გიამბობთ.



1950 წელს დაღუპულ ინგლისელთა კარვის დასამაგრებელი ბალოები, ფოტოაპარატის კასეტები და დღიურის ფურცელი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიელებმა იპოვეს





პაულ ბაუერის ექსპედიციამ აქ მოძებნა 1937 წელს 16 დაღუპულიდან თოთხმეტის გვამი

ავთანდილ გურასაშვილი

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| **რუსეთის ჩემპიონატი. 15 ივლისი** | | | |
| ტორპედო - ლოკომოტივი მ | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ვლადიკავკაზი - ჟემჩუჟინა | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| ვლადიკავკაზი - ჟემჩუჟინა (0:2) | 1,5 | 3,5 | 2,2 |
| სპარტაკი მ - ჩერნომორეცი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| სპარტაკი მ - ჩერნომორეცი (0:2) | 1,5 | 3,5 | 2,2 |
| ცსკა - ურალმაში | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| **კოპა ამერიკა. 14 ივლისი** | | | |
| ბოლივია - ჩილე | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| არგენტინა - აშშ | 1,1 | 3,3 | 7,0 |

ფორმულა-1. 16 ივლისი. შუმახერი — 1,5; პილი — 2,0, ალეზი — 3,5; კულტჰარდი — 3,5; ბერგერი — 4,0; პაკინენი — 7,0; ბლანდელი — 8,0; ჰერბერტი — 8,0, დანარჩენები — 15,0; პირველი სამეული — 10,0

| ინტერტოტოს თასი. 15-16 ივლისი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| კარლსრუე - შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ორჰუსი - ბაზელი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| რუდარი - კიოლნი | 6,5 | 3,2 | 1,15 |
| ტოტენჰემი - ოსტერსი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ეკერენი - უნივერსიტატია | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| არაუ - ჰაფნარი | 1,05 | 3,5 | 10,0 |
| ტონ პეტრი - უნიაუ | 7,0 | 3,8 | 1,05 |
| ჰერენვენი - ბეკეშჩაბა | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ბორდო - ოდენსე | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ნორჩიოპინგი - ბოჰემიანსი | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| ზაგრები - მეცი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ლინცერი - კეფლავიკი | 1,1 | 3,4 | 6,5 |
| ლევერკუზენი - ბუდუჩნოსტი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ოფი - ტერვისი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| დნეპრი - კანი | 6,5 | 3,4 | 1,1 |
| ბეჩეი - პოგონი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბევერენი - გრონინგენი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ჩაპლაული - ბობი | 1,3 | 3,5 | 5,0 |
| კოშიცე - შარლერუა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| უიმბლდონი - ბეითარი | 1,2 | 3,4 | 5,0 |
| სტრასბური - ტიროლი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| გენჩლერბირლიგი - ფლორიანა | 1,05 | 3,5 | 10,0 |
| პანერისი - აინტრახტი | 8,0 | 3,2 | 1,1 |
| ფორვარტსი - სპარტაკი | 1,3 | 3,2 | 4,4 |

ჯგუფში პირველი ადგილის ალება.

I. კარსლრუე — 1,05; შეფილდი — 3,0; ბაზელი — 3,5; ორჰუსი — 5,0
II. კიოლნი — 3,0; ტოტენჰემი — 3,0; ლუცერნი — 1,05; რუდარი — 50,0
III. ეკერენი — 3,0; არაუ — 3,0; უნივერსიტატია — 10,0; ტრომსო — 1,05
IV. ჰერენვენი — 1,1; უნიაუ — 2,0; ბეკეშჩაბა — 5,0
V. ბორდო — 1,3; ოდენსე — 1,8; ნორჩიოპინგი — 25,0; ჰელსინკი — 10,0
VI. მეცი — 1,05; ზაგრები — 3,0; პარტიკი — 8,0; ლინცერი — 2,8
VII. ლევერკუზენი — 1,02; ბუდუჩნოსტი — 6,0; ოფი — 6,0
VIII. კანი — 1,4; ფარული — 1,6; დნეპრი — 6,0
IX. გრონინგენი — 1,3; ჩაპლაული — 2,0;
X. ბურსასფორი — 1,01; შარლერუა — 8,0; კოშიცე — 5,0
XI. სტრასბური — 1,2; ტიროლი — 2,0; გენჩლერბირლიგი — 4,0
XII. აინტრახტი — 1,02; ფორვარტსი — 6,0

შესაძლო კორექტივებსა და სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარილზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე.

### ქვითრის შევსების ნიმუშები

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| ლივერპული — ჩელსი | 1 |
| 1 მილიონი კუპონი | |
| მილანი — ტორინო | 1 |
| ფოჯა — ინტერი | 2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 500 ათასი კუპონი | |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| ლივერპული — ჩელსი | 1 |
| 1 მილიონი კუპონი | |
| მილანი — ტორინო | 1 |
| ფოჯა — ინტერი | 2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 500 ათასი კუპონი | |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| მილანი — ტორინო | 1-0 |
| ფოჯა — ინტერი | 1X |
| კალიარი — სამპდორია | 2 |
| რეჯანა — რომა | X2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 4 X 500 000=2 000 000 | კუპ. |

| ქვითარი № 000000 | |
|---|---|
| მილანი — ტორინო | 1-0 |
| ფოჯა — ინტერი | 1X |
| კალიარი — სამპდორია | 2 |
| რეჯანა — რომა | X2 |
| რეჯანა — რომა | 1 |
| 4 X 500 000=2 000 000 | კუპ. |

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 60-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი ჩოგბურთელი ქალი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი

**რენა აბჟანდაძე**

„სარბიელის" რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ხელბურთი

## მთავარი მაინც თქვენი საკეთებელიაო

ევროპის ხელბურთის ფედერაციის ემისრების — კარლ გიუნტცერისა და ალექს ტონკორტის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში საკმაოდ დატვირთული გამოვიდა.

გუშინწინ დილიდან სტუმრები ჩვენი ხელბურთის ფედერაციის ოფისში ჩაუსხდნენ ოფიციალური საკითხების გარჩევას. მასპინძელი ფედერაციის ხელმძღვანელთა თქმით, დეტალურად, პუნქტ-პუნქტ გაირკვა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა მოგვარება ნამდვილად წაადგება ქართულ ხელბურთსო. სტუმრები რომ ამ შეხვედრით კმაყოფილნი დარჩნენ, აკი შემდეგ თავადაც აღნიშნეს — ჩვენი არ იყოს, თქვენს ფედერაციასაც ახალგაზრდა, ენერგიული ხალხი ხელმძღვანელობს, ვეცდებით შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ, მაგრამ მთავარი მაინც თქვენი საკეთებელია — თქვენს მაგივრად ხომ ვერ ვითამაშებთო.

სტუმრები, რომელთა რანგის სპორტული ფუნქციონერები დიდი ხანია არ გვწვევიან, მიილო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა, მერე კი შედგა შეხვედრა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტთან ნიკა ცხაკაიასთან. იქვე, გაერთიანება „სამთოქიმიის" შენობაში მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელზეც სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ევროპული ფედერაცია შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს თავის 45-ვე წევრ ქვეყანაში ამ სახეობის აღმავლობისათვის.

დაეხმარებიან საქართველოსაც. კერძოდ, უკვე გვაჩუქეს კომპიუტერი მრავალფეროვანი პროგრამით, გამოგვიგზავნიან ინვენტარს, დაგვეხმარებიან ზოგი ორგანიზაციული საკითხის მოგვარებაშიც, ევროპის ჩემპიონატებსა თუ მწვრთნელ-არბიტრთა სემინარებზე მათი ხარჯით ჩვენგან თუნდაც თითო წარმომადგენლის მივლინებაში.

ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ მეტრეველის თქმით, სტუმრები გვიშუამდგომლებენ თბილისში „ადიდასის" სპეცმაღაზიის გასახსნელად, რაც თითქმის მთლიანად გადაჭრის გუნდების სათამაშო ფორმით უზრუნველყოფის საკითხს.

ვიზიტის მეორე დღეს სტუმრები იყვნენ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სპეციალიზირებულ სკოლაში, ნახეს სპორტის სასახლის სარბიელიც. ევროპის ფედერაცია უკვე დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან როგორც ეროვნული ნაკრების, ასევე კლუბების ევროთამაშების თბილისში ჩატარებას. საამისოდ კი საკმაოდ დიდი სამზადისია ჩასატარებელი.

სასტუმრო „მეტეხში" ემისრები ესაუბრნენ საგანგებოდ მათთან შესახვედრად მოწვეულ სომხეთის ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს. შემდეგ კი ბაქოს გაფრინდნენ ასეთივე საქველმოქმედო მისიით.

გია ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐ ჰა, გასრულდა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე უფროს, პირველ ჯგუფში. ივლისში ჩვენი რაგბის მოწინავე გუნდებს ორი მცირე შვიდკაცა უნდა გაემართათ, მერე კი ორი თვით შეესვენათ შემოდგომამდე, მაგრამ სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფირა) წინა კვირაში მოსულმა მსუქანმა პაკეტმა საქართველოს რაგბის კავშირს დასახული გეგმები აურია.

პაკეტის გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ფირას მორიგი პირველობა ძველებურად 1 ოქტომბერს კი არ იწყება, არამედ სექტემბერში. ჩვენი ნაკრები, მოგეხსენებათ, მეორე დონის მავან ჯგუფში ჩეხეთის, გერმანიის, ჰოლანდიისა და დანიის კომპანიაშია მოხვედრებული. გერმანელების მონაწერიდან ვიცოდით, რომ მათთვის 15 ოქტომბერს უნდა გვემასპინძლა, ახლა კი გაირკვა, რომ მანამდე, 24 სექტემბერს, თურმე დანიას უნდა ვეწვიოთ. ერთი სიტყვით, მორიგი საერთაშორისო სეზონის დაწყებას ორი თვეღა გვაშორებს.

სექტემბრიდან მთელს მსოფლიო რაგბში დროის ახლებურად ათვლა იწყება — აგვისტოში ალბათ უარყოფილი იქნება მოყვარულობა, რაც ერთობ მიმზიდველი იდეალი კი იყო, მაგრამ ფარისევლობის მასაზრდოებელი წყაროც ყოფილა. რაგბი რომ ოფიციალურად გაპროფესიონალურდება და დიდძალ ფულს მიიზიდავს, ამით კიდევ უფრო გაღრმავდება უფსკრული მსოფლიო რაგბის ბობოლებსა და ბოგანოებს შორის. არათუ ჩვენი სიდიდისა ბრება, ესპანეთი — პორტუგალიას, ფიჯი — სამოას, მალაიზია — სინგაპურს. ალბათ საქართველოც გამოძებნის თავისს ადგილს და თუ ფირა კიდევ იარსებებს — ან ახლანდელი სახით, ანაც ევროპისა და ჩრდილოეთი აფრიკის სარაგბო გაერთიანებად — მაშინ სისტემატურად გაეჯიბრება იმ დონის გუნდებს, წერილის დასაწყისშივე რომ ჩამოვთვალეთ, ხოლო შორეულ ოცნებად ექნება ეკატორს ქვემოთ გამგზავრება, იქაურ პროვინციებს რომ ეთამაშოს.

ეს ისე, ჩაროზად, თორემ ამ საუკუნის ბოლომდე ჩვენების საერთაშორისო კალენდრის დაგეგმვა ახლავე შეიძლება. მასში სამი ნიშანსვეტია.

პირველი, მესამე სარაგბო უნივერსიადა — 1996 წლის ივლისში, სამხრეთ აფრიკაში;

მეორე, შვიდკაცას მეორე მსოფლიო თასი — 1997 წლის მარტში, ჰონკონგში;

და მესამე, მესამე მსოფლიო თასი — 1999 წლის ოქტომბერში, უელსში.

პირველ შეჯიბრში ითამაშებს 16, მეორეში — 24, მესამეში კი — 20 გუნდი. პირველგან — 7, მეორეგან — 21, მესამეგან კი — 16 ვაკანსიაა. მათ დასაკავებლად მოეწყობა შესარჩევი შეჯიბრებები. რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, საქართველო უკლებლივ ყველაში აპირებს ჩაბმას, რაც ყოველმხრივაა მისასალმებელი, რადგანაც ამით ქართული რაგბის არსებობას აზრი უნარჩუნდება და ემატება.

უეჭველია, რომ ამ ახალი ციკლის დაწყება ძველებურადვე, ქაოსურად აღარ უნდა თენგიზს, ეტყობა, ისე მიეძალა ყოველდღიური, ძირითადი სამსახურისეული საზრუნავი, რომ გადადგომა არჩია. მას ადრეც ბევრჯერ უთქვამს კოლეგებისთვის, შემცვლელი დროზე მომიძებნეთ, მე კი ჩემს „ბებრებს“ მივუბრუნდებიო — ბატონი თენგიზი ხომ ვეტერან მორაგბეთა უცვლელი თავკაცია და ცოდვაც გამხელილი სჯობს, თავის კბილა ხალხთან ურთიერთობა ურჩევნია შვილისტოლა ბიჭებისა და ამბიციური მწვრთნელების მწყემსვას.

ახლა დანამდვილებით ძნელია იმისი თქმა, ჩვენს სარაგბო თემს არათუ ვიცე, არამედ ნაღდ პრეზიდენტად ვინმე ჰყავს თუ არა შეგულვებული, თუმც ერთი კანდიდატურა მაინც რეალური გვგონია. მის გამო მარჩიელობით რომ არ შევაწყინოთ თავი, მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ხელისუფლების შეცვლას სხვა საკადრო ცვლილებებიც მოჰყვება ხოლმე, რაც ცხოვრების კანონია და არა ვისმე ახირება.

ცვლილება, პირველ რიგში, ალბათ ჩვენს ნაკრებებს შეეხება. ასეთი გუნდი ოთხი უნდა გვყავდეს — კაცთა, სტუდენტთა, ჭაბუკთა და საშვიდკაცო. თითოეულ მათგანს თავ-თავისი კალენდარი აქვს — მადლობა ღმერთს, მსოფლიო რაგბის სადლეისო ორგანიზაცია ისეთია, რომ უქმად არცერთი კატეგორიაა მიტოვებული.

რაც ნაკრებები გავიჩინეთ, უმთავრეს მათგანში არასოდეს ყოფილა სიამტკბილობა. მავანს აირჩევდნენ და მეორე თავის აღსაზრდელებს ბოიკოტს მოაწყობინებდა, სხვას აირჩევდნენ და ახლა კიდევ სხვა (თუ



# ᲛᲐᲡᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ ᲔᲚᲘᲐᲜ!

და შესაძლებლობების თემები, თვით არგენტინა და, გნებავთ, შოტლანდიაც ალბათ ველარასოდეს დაეწევიან სამხრეთნახევარსფეროელ ბუმბერაზებს.

არა გვგონია, ამის გამო ამ ქვეყნებში რაგბისადმი ინტერესი გაუნელდეთ. სარაგბო სამყარო ისე მრავალფეროვანია, რომ მასში ადგილი ყველასთვის მოინახება. აფრიკა — ზელანდია — ავსტრალიის თამაშების ცქერით მთელი მსოფლიო დატკბება, [illegible]ლანდია თავის ტოლ უელსს გაეჯი-

მოხდეს. მაშინ ჩვენთან ომი და მეტისმეტი გაჭირვება იყო. ამიტომ რა გასაკვირია, რომ 1992 წელს შვიდკაცას შესარჩევ შეჯიბრში დავმარცხდით, 1993 წელს კი სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირების პირველსავე ეტაპიდან გამოვვარდით და მერეც საერთაშორისო სარბიელზე ამ გაზაფხულამდე ბევრი ვერაფრით გამოვიჩინეთ თავი.

უახლოესი ოთხწლედის დაგეგმვა ამთავითვეა საჭირო. მოსაფიქრებელია როგორც ქვეყანაში რაგბის გავრცელება-განვითარება-წარმოჩინების, ასევე ოსტატობის ზედა საფეხურზე მდგომი მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების პატრონობის მექანიზმები. რაც მთავარია, აუცილებელია ყველა რესურსის ამოქმედება და გეგმების დასახვასთან ერთად მათი შემსრულებელთა არჩევაც.

წლევანდელივით ორგანიზებულ და მშვიდობიან საშინაო სეზონს ჩვენში ვერავინ გაიხსენებს. თამაშები თითქმის შეუფერხებლივ ეწყობა. კავშირის აპარატიც მუშაობს იმისდა მიუხედავად, რომ ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე ფაქტობრივად მუქთად აშრომებენ.

ყოველივე ეს ჩვენი რაგბის ხელმძღვანელების ფრიად საქმიან თვისებებს ადასტურებს. განსაკუთრებული შექების ღირსნი არიან ვიცე-პრეზიდენტები — თენგიზ რუხაძე (უფროსი) და გოჩა აბაშიძე (აღმასრულებელი), აგრეთვე ახალგაზრდა გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი.

ამ სამმა კაცმა თითქმის ჩაშლილი საქმე ფეხზე დააყენა. ახალ დროებაში ერთობ გაჭირდა დიდი საქმის საკეთებელი ფულის შოვნა. იმის გამო, რომ რაგბის კავშირს მოუცლელი და ფაქტობრივად უცხო პრეზიდენტი ჰყავს, რომლის მოყვანამაც თავიდან, მცირე ხნით კი გამართლა, მაგრამ მერე მორიგი ბეცი ნაბიჯი გამოდგა, ამიტომ რაგბის კავშირის რჩენა მთლიანად ბატონ თენგიზს დააწვა კისერზე და მისი შნო, მარიფათი და გავლენა რომ არა, ჩვენი მორაგბეები მთლად შინ ჩაიკეტებოდნენ და დანარჩენ მსოფლიოსაც რამდენიმე ათწლეულით ჩამოვრჩებოდით.

ყველაფერს ზღვარი აქვს. ამ დღეებში სამხრეთი აფრიკიდან დაბრუნებულ ბატონ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

### ᲞᲘᲠ[illegible]ᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

11.VII. ქუთაისი

ᲐᲘᲐ-ᲔᲞᲘ 22 (11) — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 6 (6)

მსაჯი გ. აბაშიძე

აია — 2ლ: 2 ტურძელაძე; 3ს, ა: 10 ნ. ძაგნიძე. თბილისი — 2ს: 11 ქავთარაშვილი

11.VII. რუსთავი

ᲐᲖᲝᲢᲘ 14 (7) — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ 20 (6)

მსაჯი ლ. მგელაძე

აზოტი — 2ლ: 9 ხუციშვილი; 2გ: 12-15 ჯიმშელაძე. ყოჩები — ლ: 13 საკანდელიძე; 5ს: 10-15 ძამიაშვილი

მასპინძლებს უამრავი საჯარიმო გაუცუდდათ, სტუმრებმა კი ერთადერთი ლელო ბოლო წუთზე გაიტანეს, თუმც ისედაც 15:14 იგებდნენ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-ეპი | 10 | 8 | 2 | 0 | 305: 88 | 39- 6 | 18 |
| გუმარი | 9 | 6 | 2 | 1 | 154: 95 | 13- 5 | 14 |
| თბილისი | 10 | 5 | 2 | 3 | 224:128 | 31- 9 | 12 |
| ყოჩები | 10 | 5 | 0 | 5 | 225:212 | 24-21 | 10 |
| აზოტი | 9 | 1 | 0 | 8 | 98:149 | 6-16 | 1 |
| აიეტი-ქსუ | 8 | 0 | 0 | 8 | 43:380 | 4-60 | -1 |

### ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ

22.VI: ამდღევანდელი გელათი — რაშის თამაში ბათილად იქნა ცნობილი, რის გამოც გაუქმდა ბურთები, ლელოები და გაძევებანი. რაშის განაცხადი და მოთამაშეთა ბარათები თბილისში, ცხრაკლიტულში იყო ჩაკეტილი, რის გამოც თბილისელები ქუთაისს უსაბუთოდ ეწვივნენ, წაგება მიესაჯათ და ქულითაც დაჯარიმდნენ

30.VI: დელფინები 15 (0) (2ლ, გ, ს) — ლელო 17 (12) (3ლ, გ)

6.VII: აკადემია 7 (ლ, გ) — დინამო 13 (ლ, გ, 2ს); გელათი 21 (15) (2ლ, გ, 3ს) — დელფინები 5 (0) (ლ)

7.VII: ყოჩები II 3 (3) (ს) — რაში 8 ([illegible] ლ, ს); ლელო 9 (3ს) — უნივერსიტეტი 13 (ლ, გ, 2ს)

11.VII: რაში 20 (6) (2ლ, 2გ, 2ს) — ლელო 8 (3) (ლ, ს)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაში | 10 | 7 | 1 | 2 | 106: 51 | 10- 5 | 14 |
| უნივერსიტ. | 8 | 5 | 3 | 0 | 66: 59 | 8- 4 | 13 |
| ლელო | 10 | 6 | 1 | 3 | 150:133 | 16-14 | 13 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 78: 59 | 10- 5 | 9 |
| აკადემია | 9 | 4 | 0 | 5 | 97:110 | 12-11 | 8 |
| გელათი | 9 | 4 | 0 | 5 | 83: 80 | 5- 7 | 7 |
| ყოჩები II | 10 | 1 | 2 | 7 | 123:180 | 12-26 | 4 |
| დელფინები | 8 | 1 | 0 | 7 | 78:113 | 10-11 | 1 |

იგივე) მის უფროსობას არა სცნობდა. ამგვარი დაუბრება, დავა, შუღლი თვეობით გაგრძელებულა, რაც იმისი ბრალი იყო, რომ რაგბის კავშირს არასოდეს ჰყოლია მისსავე წიაღში აღზრდილი ლიდერი — პრეზიდენტი, რომელიც ყველას თავ-თავისს ადგილს მიუჩენდა, კანონს დაიცავდა და სარაგბო თემის არჩევანს ცალკეულ პირებს არ გააბათილებინებდა.

არავინა თქვას, ქართული სარაგბო თემი რაა, მისი არჩევანი ანგარიშგასაწევი



ბატონმა თენგიზმა ერთი წელი მარტომ არჩინა მორაგბეები

რომ იყოსო. ნურას უკაცრავად! მართალია, ბოლო ხანებში ცოტა კი გამცირერიცხოვანდა, მაგრამ მის ძალასა და უნარზე ჩვენში სპორტის სხვადასხვა სახეობის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მეტყველებს. მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: დაგვისახელეთ ბურთაობა, შინაურ ჩემპიონატს ორ ჯგუფად რომ მართავდეს, მსოფლიო დონეზე კი პირველ ოცდახუთეულში მოხვედრის რეალური პრეტენზიები ჰქონდეს!

ერთი სიტყვით, ჩვენი სარაგბო თემი საკმაოდ ჭკვიანია საიმისოდ, არჩევანი სწორად რომ გააკეთოს. იციან ჩვენმა მწვრთნელებმა, მსაჯებმა, გუნდის იდეოლოგებმა და მოწინავე მოთამაშეებმა, თუ რომელი მწვრთნელი რისი მაქნისია: ვინ უკეთ ზრდის მოთამაშეებს; ვის უფრო ეხერხება გუნდის შეკვრა, გაწვრთნა, შეთამაშება; ვის ხელში როგორ იქცევიან მოთამაშეები და ვისთან ერთად მუშაობით უკეთ ოსტატდებიან ახალბედა მწვრთნელები.

რაკი ჩვენთვის ახალი ეპოქა დგება, მწვრთნელთა ხელახლა არჩევა გარდაუვალია. მუდმივი განახლება ყველაფრისთვისაა არსებითი. ნაკრებებშიც ახალი ხალხი და ახალი იდეები უნდა მოვიდეს. ამაში მიულებელი არაფერია. თვით ავსტრალია რომ ავსტრალიაა, იქაც „ვოლაბების“ მწვრთნელის არჩევნებს ორ წელიწადში ერთხელ აწყობენ, რაც იმის საწინდარია, რომ გულარხეინი ვერავინ იქნება, კარგს კი ხალხი ხელად შეიცნობს და კვლავაც ანდობს ნაკრების ყოჩობას.

ახლა მთავარი ისაა, პრეზიდენტისა და ნაკრების ხელმძღვანელობის ახალი არჩევნები დროით მოხდეს. წინათ, წლის ბოლოს იტყოდნენ, პრეზიდენტმა ბრძანა, მწვრთნელს საერთაშორისო სეზონის შუაში ხომ არ გადავირჩევთო, შუა საშინაო სეზონში კი თავის იმართლებდნენ, საერთაშორისო სეზონი კი მორჩა, მაგრამ ჩვენი ხომ გრძელდებაო. ერთი სიტყვით, განუკითხაობას საზღვარი არა ჰქონდა, რაკიღა განმკითხველის მტკიცე ხელი არსად იყო.

ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ, ჩვენმა გერმანელმა მეტოქეებმა თურმე წერილი მოგვწერეს, ემანდ ჩვენთან ხომ არ გვეთამაშაო. სამაგიეროდ, იაფი დაგიჯდებათ, ვინაიდან სხვაფრივ სამი დღე თბილისში თქვენი ხარჯით უნდა ვიცხოვროთო.

გერმანელები ემმაკობენ:აქ ჩამოსვლა ეძვირათ და ქართველების მასპინძლობაც იაფი უჯდებათ; ერთით მეტ თამაშსაც გამართავენ შინ, რაც ჩვენებს ხელს სულაც არ უნდა აძლევდეს: საქართველოს ამოცანა ხომ ჯგუფში გამარჯვება და ზედა დონეზე გადასვლისათვის შეჯიბრის გაგრძელებაა, თორემ შუაგულ ევროპაში გატარებული ერთი ზედმეტი კვირა რა ბედენაა!

გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორიც. რაგბს აქამდეც სწყალობდა ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა ფენა — ფუნქციონერთა გარდა! მსოფლიო თასმა ოვალურბურთიან თამაშს უკეთესი იმიჯი შეუქმნა. ახლა ამის გასამტკიცებლად საქართველო — გერმანიის თამაშის თბილისში გამართვა და წარმოჩინება მართლაც რომ საშური საქმეა!

სადაც სამართალია, ეს მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უნდა გაიმართოს. ერთი, რომ სულმნათი ბორისი იყო ქართული რაგბის პირველი მერცხალი, და მეორეც, მისივე წყალობით, ვიდრე 1968 წელს დაანგრევდნენ, „დინამოს“ ძველ სტადიონზე ბევრჯერ გამართულა ბარაქიანი რაგბი. მესამეც, სტადიონის ეროვნულობა ნიშნავს, რომ იგი ბურთაობის ყველა სახეობის გამაერთიანებელი ტაძარი უნდა იყოს. ისიც კარგად გვახსოვს, თავის დროზე აქ ქართველ და ამერიკელ კეტბურთელთა პაექრობაც გამართულა, ბოლო დროის შოუებიდან კი თუნდაც პარლამენტართა და ჟურნალისტთა ბურთაობა რად ღირდა. რაღაც არა გვგონია, რომ ეს ბოლო მატჩი საერთაშორისო რაგბზე სერიოზული ღონისძიება ყოფილიყო!

ამ შემოდგომით ფირას ეგიდით გასამართი სამი თამაში (ნოემბერში საქართველო ჰოლანდიას უნდა ეწვიოს) ჩვენს ჩემპიონატს არევას უქადის. დებულების თანახმად მოწინავე ოთხეულმა ოთხ წრედ უნდა ითამაშოს. ნაკრების ამჟამინდელი ხელმძღვანელობის აზრი ყოფილა, დანიასთან სათამაშოდ უკეთ რომ მოვამზადოთ გუნდი, საკლუბო ჩემპიონატის ერთი წრე ტურად გავვიმართეთ აჭარაშიო. რაღა თქმა უნდა, უფრო უპრიანი იქნებოდა, ასეთ შეჯიბრს „აჭარის თასი“ დარქმეოდა, მაგრამ ჩვენების ზნე ხომ მოგეხსენებათ, თუ ტურნირს „ჩემპიონატი“ არა ჰქვია, ყველა ღონეს იხმარენ, მისგან თავი რომ დაიძვრინონ. ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, რაგბის კავშირის გენერალური მდივანი ამ კვირაში აჭარაში მუშაობს, ამგვარი ტური რომ მოაწყოს. ისე კი, თუ მაინც ჩემპიონატის ამგვარად გაგრძელებაზეა საუბარი, ტურად ლუწი წრე უნდა გაიმართოს, თორემ სტუმარ-მასპინძლობის ბალანსი დაირღვევა და ჩემპიონატის შედეგს სამართლიანი ველარ ეთქმის.

ᲖᲐᲖᲐ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲘᲡ
ფოტოები

## VIII ეტაპი

16 ივლისი.
დიდი ბრიტანეთის გრან-პრი
ავტოდრომი „სილვერსტოუნი"

წრის სიგრძე 5057 მ. 60 წრე—303,5 კმ
სიჩქარის რეკორდი წრეზე — 228 კმ-სთ (დეიმონ ჰილი, „უილიამსი", 1993)



ბოლო ხუთი რბოლის პრიზიორები:

1994 დეიმონ ჰილი („უილიამსი" — საშუალო სიჩქარე 202,1 კმ-სთ), ჟან ალეზი, მიკა ჰაკინენი.
1993 ალენ პროსტი („უილიამსი" — 216), მიხაელ შუმახერი, რიკარდო პატრეზე.
1992 ნაიჯელ მენსელი („უილიამსი" — 215,8), პატრეზე, მარტინ ბრანდლი.
1991 მენსელი („უილიამსი" — 211,2), გერჰარდ ბერგერი, პროსტი
1990 პროსტი („ფერარი" — 233,8), ტერი ბუტსენი, აირტონ სენა.

ბრიტანეთის „დიდი პრიზი", იტალიურთან ერთად, სულ ორად-ორია, რომლებიც 45 ჩემპიონატის მანძილზე არასდროს გამცდარა. სწორედ ინგლისის ეტაპიდან იღებს დასაბამს ფორმულა 1-ის პირველობები. ოქსფორდის მახლობლად აგებულ „სილვერსტოუნზე" 1950 წლის 13 მაისს პირველი ჩემპიონატის პირველი რბოლა მოიგო იტალიელმა ჯუზეპე ფარინამ („ალფა-რომეო"), რომელიც იმ წელს პირველი ჩემპიონიც გახდა. გარდა „სილვერსტოუნისა", სადაც 28-ჯერ გათამაშდა ბრიტანეთის „გრან-პრი", რბოლას კიდევ ორი ავტოდრომი მასპინძლობდა — „ბრენდს ჰეჩი" (12) და „ეინტრი" (5).

„სილვერსტოუნის" ხუთკილომეტრიანი ტრასა უსწრაფესია მსოფლიოში „მონცასა" და „ჰოკენხაიმის" შემდეგ. 1993 წელს სწორედ იქ მოიგო თავისი საიუბილეო და სარეკორდო 50-ე „გრან-პრი" ალენ პროსტმა. საერთოდ, ინგლისში გამარჯვებებითაც სწორედ პროსტია რეკორდსმენი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ჯიმ კლარკთან ერთად — ისინი 5-5-ჯერ პირველობდნენ.

ბოლო ოთხი რბოლა „უილიამსის" პილოტებმა მოიგეს და ოთხივეჯერ იმან, ვინც პირველი იდგა სტარტზე.

ინგლისურ ტრასაზე ზეგინდელ ეტაპზეც ინგლისური მძღოლ-მანქანა (დეიმონ ჰილი — „უილიამსი") ითვლება ფავორიტად, თუმცა ჩემპიონი და წლევანდელი პირველობის ლიდერი მიხაელ შუმახერი ყოველმხრივ შეეცდება სამწლიანი უიღბლო სერიის შეწყვეტას და გაერთიანებულ სამეფოში პირველად გამარჯვებას.

## ან მომღერალი შადე მქნა...

„შპორტ-ბილდმა" რვა კითხვით მიმართა უიმბლდონის წლევანდელ გამარჯვებულს, შტეფი გრაფს.

**— როგორ მოგიგონებენ ჩოგბურთის გულშემატკივრები?**

— როგორც დიდებულ მოთამაშეს, რომელიც მთელი სულითა და გულით ჩოგბურთელი იყო.

**— ყველაზე მეტად რომელმა გამარჯვებამ გაგახარათ?**

— უდიდესი სიხარული უიმბლდონზე მარტინა ნავრატილოვას პირველად დამარცხებამ მომანიჭა.

**— რომელი იყო საუკეთესო რჩევა მათგან, ცხოვრების მანძილზე რომ მოგისმენიათ?**

— ცხოვრება ცვალებადია, ცუდს ყოველთვის კარგი მოჰყვება ხოლმე.

**— სასიამოვნოდ გატარებული დღე — როგორია იგი თქვენთვის?**

— მსიამოვნებს კარგ ადამიანებთან ერთად მთებში ხეტიალი ან მდინარის პირას ჯდომა, წიგნების კითხვა, ლამაზი მუსიკის, მაგალითად „U2"-ის საკუთარ კლუბში სმენა.

**— რისი გეშინიათ ყველაზე მეტად?**

— კბილის ექიმთან შესვლის.

**— საგნებიდან რას უფრთხილდებით ყველაზე მეტად?**

— ჩემს ჩოგანსა და ხელჩანთას.

**— ახლიდან რომ დაბადებულიყავით, ვისად ან რად ყოფნად ისურვებდით?**

— ვისურვებდი, მომღერალი შადე ვყოფილიყავი.

**— ნიჭი, რომლის ქონას ისურვებდით?**

— ნეტავი სმენა მქონოდა და სიმღერა შემძლებოდა.



## გაქცევა მთებში

გამართლდა ველოსპორტის მოყვარულთა პროგნოზი — საფრანგეთის ველოტური ალპებში ავიდა და უმალ იმდენი რამ მოხდა, რომ საწყისი ეტაპების ამბები სულ მთლად დაჩრდილა.

სპეციალისტები ტაქტიკას უქებდნენ ზედიზედ მეხუთე გამარჯვების მსურველ ესპანელ მიგელ ინდურაინს, დახეთ, რა დინჯად დაიწყო ასპარეზობა, მერე კი ზედ სამთო კვირეულის წინ ჩქაროსნული ეტაპის მოგებით გვარიანად დაწინაურდა და რადგანაც მთაშიც მაგარია, ალბათ ლიდერობასაც განიმტკიცებსო. იგივე საზოგადოება ფრანგი რიშარ ვირონკისა და იტალიელი მარკო პანტანის გააქტიურებასაც ვარაუდობდა, თავიდან თუმც ბევრი აქვთ დაკარგული, ახლა მაინც გამოიდებენ თავს და ჩამორჩენის ალმოფხვრას ეცდებიანო.

პირველი ალპური ეტაპი (IX; ბრუნიონი — ლაპლანი; 160 კილომეტრი) 11 ივლისს გაიმართა. სტარტზე მრბოლებს მზე შეხვდათ, ფინიშზე კი — ჭექა-ქუხილი და ელვა. თვით რბოლაც მშფოთვარე გამოვიდა. მთავარი ამრევი „ონსეს" შვეიცარიელი ალექს ზულე იყო, ვინაც აქამდე ოთხნახევარ წუთს აგებდა ინდურაინთან. ამ მრბოლმა არც აცია, არც აცხელა და ჯგროს მარტოდმარტო გაექცა.

მრბოლები დაიბნენ. მერე თავად ლიდერმა იკისრა მეამბოხისთვის ჭკუის სწავლება და მარტო გამოეკიდა. „დიდმა მიგმა" სხვაობა თანდათან შეამცირა. ეტაპი, რა თქმა უნდა, ზულემ მოიგო. ინდურაინი მას 2 წუთითა და 2 წამით ჩამორჩა.

სხვებმა ძალიან იზარალეს. ფინიშთან მესამე რუსი ტონკოვი მივიდა (4.11). იტალიელებს — პანტანისა და გოტის ჩამორჩენა 4.37-ია, ვირონკმა, იტალიელმა კიაპუჩიმ და შვეიცარიელმა რომინგერმა კი 6.05-ით წააგეს. რუსების დიდ იმედს — ევგენი ბერზინს პირდაპირ კატასტროფა შეემთხვა: ზულესთან ერთბაშად 17-ნახევარი წუთი წააგო.

ლიდერის ყვითელი კვართი ინდურაინმა შეინარჩუნა. ზულე მეორე ადგილზე გადავიდა (2.27). მესამე ადგილზე დანიელი რისი იყო (5.56).

X ეტაპი (ლაპლანი — ალპდიუე, 162 კილომეტრი), 12 ივლისს რომ გაიმართა, მოიგო მარკო პანტანიმ. მას გზად ათასობით იტალიელი ქომაგი გაეგება, თუმც დიდ ფათერაკს კი გადარჩა: ფინიშთან მხარი ეცვალა და შეცდომით მარჯვნივ მიუხვია. ვითარებაში რომ გაერკვა, ათი წამი უკვე დაეკარგა. ინდურაინი პანტანის წუთითა და 24 წამით ჩამორჩა. ზულესა და რისს მიგელისნაირი დრო ჩაუწერეს, რის გამოც ლიდერთა განლაგება არ შეცვლილა. სამაგიეროდ, სამმა მრბოლმა: იტალიელმა მაურიციო ფონდრიესტმა, ფრანგმა ჟაკი დიურანმა და რუსმა ევგენი ბერზინმა ესოდენ მძიმე გამოცდა ვეღარ აიტანა და წლევანდელ ტურს თავი შუა გზაზე მიანება.

გუშინ მრბოლებს უარესი ელოდათ: ბურდუაზონიდან სენტეტიენამდე 199 კილომეტრი უნდა გაეარათ.

მიხო ნინუა



## ამ კვირის ამბავ-ჭორები



იანიკ ნოა

ამერიკელმა ჯეფ ტარანგომ უიმბლდონის დროს აყალმაყალი რომ მოაწყო და თამაში მიატოვა, უმკაცრესად დაისაჯა — სარეკორდო თანხით დააჯარიმეს. იმ ინციდენტის მორიგი გამოძახილი იყო ამ კვირის დასაწყისში გახმაურებული ამბავი: მეგობრებმა ჩოგბურთელს ურჩიეს, ნუ იასპარეზებ შვეიცარიის ღია პირველობაზე, ემანდ იქაურ მარკ როსეს არ გადაეყარო, ვისაც უიმბლდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საჯაროდ დასწამე შენს მიერ შერისხული ფრანგი მსაჯის — ბრუნო რიბერის ფავორიტობაო. ტარანგოსაც ყურად ულია რჩევა და შეჯიბრებაში აღარ ჩაბმულა, თუმც კი შეუნიშნავს, როსესა და რიბერის ურთიერთობის გამო ჩემი მინიშნება არასწორად იქნა გაგებულიო.

ამავე ტურნირს სხვაგვარი მითქმა-მოთქმაც ახლავს. სამხრეთაფრიკელმა ჩოგბურთის ხელისუფალმა განაცხადა, შვეიცარიელებმა მოქრთამეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაცია, ამას შვეიცარიის ღია პირველობა კალენდარში სამხრეთი აფრიკის ღია პირველობისთვის გამოყოფილ დროს რომ ჩაესვა, რის გამოც ჩვენ ფინანსურად საკმაოდ ვიზარალეთო.

იზარალა საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულმა, ავსტრიელმა თომას მუსტერმაც. იგი მაინც ვერ შეწვდა არგენტინელი გილერმო ვილასის მიერ დამყარებულ რეკორდს: თიხაზე ზედიზედ მოგებული 40 მატჩის შემდეგ შვეიცარიის პირველობის პირველსავე წრეში ორ ხელში წააგო ესპანელ ალექს კორეჩასთან. მუსტერს თიხაზე წინა ჯერზეც ესპანელმა — ემილიო სანჩესმა მოუგო. ეს შარშან ოქტომბერში მოხდა.

უიმბლდონის მოგების შემდეგ შტეფი გრაფი ორ ცნობაში გამოჩნდა. ერთი, რომ ზურგი თურმე ისევ აწუხებს, რის გამოც ფედერაციის თასის ნახევარფინალში არ ითამაშებს. არადა, ამ ეტაპზე გერმანია უნდა შეხვდეს ესპანეთს და შტეფის უარი რომ არა, უიმბლდონის ფინალისტები — გრაფი და სანჩეს-ვიკარიო ამ ერთხელაც შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.



მეორე ცნობის თანახმად შტეფისა და მამამისის — პეტერის ბინა გაჩხრიკა პოლიციამ და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საბუთი თან გაიყოლა. ეჭვობენ, რომ ჩოგბურთელი ქალი, ვისაც კორტზე გამოსვლით უკვე 16 მილიონი დოლარი რგებია, შემოსავლის ნაწილს ხელისუფლებას უმალავს, ამან რომ არ დაუბეგროს. ისე კი, უცხოური მედია ჰკვირობს, რომ გრაფები საცხოვრებლად რატომ არ გადავლენ, ვთქვათ და, მონაკოში, სადაც ტაქსაცია ერთობ შეღავათიანიაო.

იმავე ფედერაციის თასზე აშშ საფრანგეთს უნდა ეთამაშოს შინ, ჩრდილოეთ კაროლინაში. ნაკრების კაპიტანმა ბილი-ჯინ კინგმა 14 კანდიდატიდან ბოლოსდაბოლოს შეარჩია ჩანდა რუბინი, ლინდზი დავენპორტი, ჯიჯი და მერიჯო ფერნანდესები.

მონიკა სელეში სულ მალე კორტზე დაბრუნებას აპირებს და მარტინა ნავრატილოვასთან საჩვენებელი თამაშის გამართვას ფიქრობს, თან თურმე ისე ოპტიმისტურადაა განწყობილი, რომ იქადნება, აშშ-ის ღია პირველობაზეც ვიასპარეზებო.

ამასობაში სელეშის ვექილმა მეორე აპელაციაც შეიტანა სასამართლოში მონიკას დამჭრელის, 41 წლის გიუნტერ პარხეს წინააღმდეგ, რომლითაც ითხოვს, რას მიქვია ორწლიანი პირობითი პატიმრობა, მოძალადეს ხუთი წლით დილეგში ჩაგდება ერგებოდაო. ამ სარჩელის განხილვა უთუოდ გაჯანჯლდება და როგორც ვარაუდობენ, ექვს თვეს გასტანს.

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საშეჯიბრებო ჩოგბურთს დაუბრუნდა ფრანგების დევისის თასის გუნდის კოლორიტული კაპიტანი იანიკ ნოა, მაგრამ შვეიცარიის პირველობის პირველსავე წრეში დამარცხდა თავისსავე შეგირდ სედრიკ პიოლინთან. ამავე წრეში ახალბედა ამერიკელი ფრანსისკო მონტანა ისე გაუძალიანდა სერხი ბრუგერას, რომ ესპანელს, ვინაც წელს ზედიზედ მეოთხედ ლამობს შვეიცარიული ტიტულის მოპოვებას, სამი ხელის თამაში მოუწია.

ირაკლი ნინუა

## ტაისონს გასალახები შემოკლებია

ციხიდან გამოშვებული მაიკ ტაისონი 19 აგვისტოს ბრუნდება რინგზე — ლას-ვეგასის ახალ „ემ-ჯი-ემ ჰოტელში" უნდა შეერკინოს თეთრკანიან პიტერ მაკნილის.

ამ კვირაში ტაისონის იმპრესარიო დონ კინგმა პრესას განუცხადა, ჩემი შეგირდი მაგრად ვარჯიშობს და უკვე 11 სპარინგ-პარტნიორი გამოიცვალა — სათითაოდ სულყველა დაანოკდაუნაო, ოთხი მათგანი კი საავადმყოფოშიც კი წაიყვანესო. ამის გამო გალახვის ახალ მსურველებს სანთლით დავეძებო. ამათ ნუ შეეშინდებათ, ვინაიდან ექიმები დარაზმული გვყავსო.

კინგის ცნობით, მატჩისადმი ინტერესი განუზომელია. „ემ-ჯი-ემის" არენის 15 ათასივე ბილეთი გაიყიდა. მათი მაქსიმალური ფასი ათასი დოლარია. ვინც შინ დააპირებს კრივის ტელერეპორტაჟისთვის თვალის მიდევნებას, მას საკაბელო ტელევიზიისათვის 50 დოლარის გადახდა მოუწევს.



## დიდი პრიზებით – ჩემპიონატისკენ

4 აგვისტოს გეტებორგში მსოფლიოს ჩემპიონატი რომ იწყება, მისთვის მძლეოსნობის ვარსკვლავები ევროპული გრან-პრის ურიცხვ შეჯიბრში ემზადებიან.

ოთხშაბათს ნიცის დიდ პრიზზე 1500 მეტრზე რბენის თავისივე მსოფლიო რეკორდი, 1992 წელს იტალიის ქალაქ რიეტაიში რომ დაამყარა, წამნახევრით გააუმჯობესა ალჟირელმა ნურადინ მორსელიმ. მისი ახალი შედეგია 3.27,37. ისევე, როგორც ამ ათიოდე დღის წინ, პარიზში 2000 მეტრზე რბენის რეკორდის გაუმჯობესებისას, ნურადინი ისევ მისმავე ძმამ, სახელად ალიმ გააქანა. მორსელიმ ბოლო წრე 53 წამში გაირბინა.

ორგანიზატორებმა ალჟირელი განარიდეს 21 წლის ბურუნდელ ვენუსტი ნიანგბოს, რომელიც შვეიცარიაში კი ვარჯიშობს, მაგრამ შინაომებითა და გენოციდებით მოცულ სამშობლოში ჩასვლას წლის ბოლოს მაინც აპირებს. ნიანგბომ ხუთი დღით ადრე, ლონდონში ირბინა 1500 მეტრზე და 3.33,30 აჩვენა, რაც იმ დროს სეზონის მეორე შედეგი იყო — საუკეთესო დრო მაშინაც მორსელის ეკუთვნოდა.

ნიცაში ბურუნდელმა 2000 მეტრზე იასპარეზა და გაიმარჯვა. სამი კვირის თავზე გეტებორგში მორსელი — ნიანგბოს საინტერესო შეჯიბრს უნდა ველოდოთ კლასიკურ 1500-იან გარბენში.

სიმაღლეზე ხტომა წააგო კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა. ბაჰამელი ტონი კემპი 238 სანტიმეტრზე ახტა, კუბელი – 230 სანტიმეტრზე. არადა, კვირას გერმანიაში ორივენი 237-ზე ახტნენ, მაგრამ სოტომაიორმა იმით გაიმარჯვა, რომ სიმაღლის აღებას ნაკლები ცდა მოანდომა.



ვენუსტი ნიანგბო

200 მეტრზე ჯონ რიჯისმა (ბრიტანეთი) დაამარცხა ფრანკი ფრედრიქსი (ნამიბია). მანამდე, ორშაბათსაც მოეწყო გრან-პრი — სტოკჰოლმისა. იქ ჩეხმა იან ჟელეზნიმ შუბი 87,78 მეტრზე ტყორცნა. ჩეხი მსოფლიო რეკორდსმენი ლონდონში წინა პარასკევს დაამარცხა ბრიტანელმა სთივ ბაქლიმ, რომლის შედეგიც 88,54 მეტრი იყო. იქვე მასპინძელი სამხტომელი ჯონათან ედვარდსი 17 მეტრსა და 69 სანტიმეტრზე გადახტა.

სტოკჰოლმში ამერიკელმა დენის მიჩელმა 100 მეტრი 10,21 წამში გაირბინა, ასევე ამერიკელმა მაიკლ ჯონსონმა კი, 200 მეტრი — 20,16 წამში. მოზამბიკელ ქალ მარია მუტოლას 1000 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდის გასაუმჯობესებლად ხუთი მეასედი წამი ვერ ეყო.

5000 მეტრზე რბენასა და 3000 მეტრზე სტიპლ-ჩეისში ლოკალური სენსაციები ალინუსხა. პირველ დისტანციაზე კენიელ ისმაილ კირუისგან მსოფლიო რეკორდს ელოდნენ, მაგრამ გაიმარჯვა მისმავე თანამემამულე შემ კურორიომ (13.02). სტიპლ-ჩეისში 21 წლის კრისტოფერ კოსგაიმ, რომელმაც ფეხშიშველმა ირბინა, აჯობა მოუზეს კიპტანუის და მძლეოსნობის ისტორიაში მეშვიდე შედეგსაც (8.06,68) მიაღწია. კოსგაიცა და კიპტანუიც კენიელები არიან.

## აქეთური, იქითური

ვესტ-ინდოელმა მო[illegible]ეებმა ინგლისელებს მესამე ტესტი უჩვეულოდ მცირე დროში, სულ რაღაც [illegible]ნახევარში რომ მოუგეს, [illegible] მორიგ მატჩამდე უქმად დარჩნენ. ჰოდა, ტესტისთვის შეგულებული ბოლო, მეხუთე დღე [illegible] — [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] მატჩი [illegible] და ისიც [illegible] ავსტრალიის ნაკრების ყოფილმა და ქვინზლენდის ამჟამინდელმა კაპიტანმა, 40 წლის ალან ბორდერმა გადაიფიქრა დიდი სპორტისთვის თავის მინებება და არდადეგების შემდეგ გამოაცხადა, კიდევ ერთ წელს ვითამაშებო. ბორდერის თავკაცობით ქვინზლენდმა წელს თავის ისტორიაში პირველად მოიგო ავსტრალიის შტატების ჩემპიონატი, ე.წ. შეფილდ შილდი, რომლის დაცვაც ოქტომბრიდან მოუწევს.

*

სამშაბათს, არლინგტონში (ტეხასი), კეტბურთის უმთავრესი ლიგების ვარსკვლავთა 66-ე მატჩში ეროვნულმა ლიგამ 3:2 დაამარცხა ამერიკის ლიგა. გამარჯვებულთა დამწყები პიჩერი იყო იაპონელი ჰიდეო ნომო, რომლის თამაშების საჩვენებლადაც მისი სამშობლოს ბევრ ქალაქში გიგანტური ტელეეკრანები დაუდგამთ. იაპონელი „ლოს-ანჯელეს დოჯერზში" კი თამაშობს, მაგრამ ინგლისურად თურმე ვერა ლაპარაკობს.

*

ბრიტანეთის უპირველესმა ლიგის რაგბის კლუბმა „ვიგანმა", ვინც გაისად გაზაფხულზე რუპერტ მერდოქის მიერ მოწყობილ ევროპის სუპერ-ლიგაში უნდა ჩაებას, განაცხადა, რომ ერთობ სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა ახალზელანდიელ გოლიათ ჯონა ლომუს, სამი კვირის წინ აფრიკაში გამართულ რაგბის მსოფლიო თასზე სათითაოდ ყველა ბრიტანული გუნდი რომ გათელა. ვიგანელებს თანხის ოდენობა არ გაუმხელიათ, ისე კი აღიარებენ, რომ ლომუს იმდენი წინადადება აქვს მიღებული, არჩევა გაუჭირდებაო. არადა, ლომუ აცხადებს, რომ რაგბიდან წასვლას არსად აპირებს, ვიგანელებს კი იგი თურმე იმისთვის სჭირდებათ, მოსეირეთა ახალი მასები რომ მიიზიდონ — დახეთ, ლიგის რაგბში როგორი ფენომენი გვყავსო!

*

სამხრეთი აფრიკის ორი უმთავრესი ტელეკომპანია: SABC და M-NET სასამართლოში უჩივის თავისივე ქვეყნის რაგბის კავშირს. საქმე ისაა, რომ კავშირის პრეზიდენტმა ლუი ლეიტმა მსოფლიო თასის ფინალის წინადღით ავსტრალიელ მედიის მაგნატ რუპერტ მერდოქთან ისტორიული გარიგება რომ გამოაქვეყნა, ეს კომპანიები მიხვდნენ, რომ გაისიდან სახრავი ხელიდან გამოეცლებათ: აქამდე ხომ ისინი გადასცემდნენ „ქურციკთა" საერთაშორისო მატჩებსა და შინაურ „კარის თასს". როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სასამართლო მომჩივანებს დაუჭერს მხარს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29